

ଶକ୍ତିଚାର୍ଯ୍ୟମାଳା
ଶକ୍ତିବିନାମାଳା

No 2



ଅମ୍ବାଜୀଲୀଲାଲାତମୀୟ.—ତମାଙ୍ଗବାଲୀ

1911

B. Taxobehri



შინაარსი:


I—სკოლაში,—სურ. ანნა სედილლისი	1
II—ზამთარი—ლექსი ა. შანშაშვილისა	3
III—უბედური „ქორბულა“,—ირ. ეგდოშვილისა	4
IV—მეცნიერება, — (თარგმანი) უშარიაშ დემურისი	10
V—ახალი წელი—ლექსი პ. დგანჯლისა	18
VI—საცოდავი,—გ. ჭუჩიშვილისა	21
VII—ოთხი წმინდა მეცნე,— (დასასრული თარგ. გერმანულით) ა. მიქაბერიძისა	27
VIII—ბატონ-ყმობა რუსეთსა და საქართველოში,—იაკობ გოგებაშვილისა	34
IX—ორი დრო,—(ბატონ-ემობის გადავარდნიდან 50 წლის შესრულების გამო) ლექსი დ. თურდოსშირელისა	41
X—ჰაერის სიმძიმის დაწოლება,— (თარგმანი) ნ. ლომაურისა .	45
XI—წვიმა.—ზომიერი, კოკისპირული და წყალდიღობა,— ნინო ესხნაძისა	55
XII—მონათ ნამყოფი ბრძენი, (ეპიგრეფის სწავლა ანუ მოძ- ღვება) თარგმანი,— ლდ. ჭრელაშვილისა	59
XIII—მდინარე და ხილი,— (იგავი) ალ. მირიანშვილისა	61
XIV—გასართობი: რებუსული ამოცანა, ზმა, რებუსი და ალსნა.	62

ରାଜପାତ୍ର ଶକ୍ତି

卷之三

၁၉၅၂ ခုနှစ်၊ ဧပြီလ၊ ၃၀ ရက်နေ့၏

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ପାତ୍ରଙ୍କରଣ



შეკოლაში, —სურ. ანნა სედილლოსი.

შინაარსი:

I—სკოლაში,—სურ.	1
II—ზამთარი—ღექისი ა. შანშიაშვილისა	3
III—უბედური „ქორბუდა“,—ირ. ევდეშვილისა	4
IV—მეფისე,—(თარგმანი) მარიამ დემურიასი	10
V—ახალი წელი,—ღექისი პ. დვანელისა	18
VI—საცოდავი,—გ. ქუჩიშვილისა	21
VII—ოთხი წმინდა მეფე,—(დასასრული თარგ. ბერძნულით) ა. მიქაბერიძისა	27
VIII—ბატონყმობა რუსეთსა და საქართველოში,—იაკობ გოგებაშვილისა	34
IX—ორი ღრო,—(ბატონ-ემილის გადავირდნიდან 50 წლის შესრულების გამო) ღექისი დ. თურდესპირელისა	41
X—ჰაერის სიმძიმის დაწოლა,— (თარგმანი) ნ. დომაურისა	45
XI—წვიმა.—ზომიერი, კოკისპირული და წყალდიდობა,— ნინო გაჩხაძისა	55
XII—მონათ ნამყოფი ბრძენი, (ეპიგრეტის სწავლა ანუ მოძ- ღვრება) თარგმანი,— თლ. ჭრელაშვილისა	59
XIII—მდინარე და ხიდი,— (იგაზი) ალ. მირიანაშვილისა	61
XIV—გასართობი: რებუსული ამოცანა, ზმა, რებუსი და აღსნა.	62



292

გ ა მ თ ა რ ი.



ოვს... იპენტება თეორად მთა-ბარი.
ტრიალ მინდორზე სისინებს ქარი.
ყინვამ დაჰფარა
წყარო ანკარა.

ტყისა ნადირი ხვრელში შემძვრალა...
ხან კი თავზარს სცემს სუსტსა ღრიალით;
მთის მწვერვალიდან თოვლი დაიძრა,
დაბლა მოსცურავს ზარით, ღრიალით.
ვხედავ ლერწამსა, თეორად შესუდრულს;
სცივა, ვერ ჰქედავს იდუმალს ჩურჩულს!

ა. შანშიაშვილი.





უბედური „ქორბუდა“



ავიდეთ, გავშორდეთ ამ ოხერ
ქელებსა და ტყეს, თორემ ვი-
ცი, ცოცხალი არც ერთი არ
გადავრჩებით ამ ზამთარს! — მირ-
ჩევდა ჩემი შეგობარი, ჩემი გა-
ნუყრელი ამხანაგი „ქორბუდა“,
რომელსაც ეს სახელი ირმებმა
დიდის რქების გამო დაარქვეს.

მირჩევდა და მართალიც იყო.
საშინელი ზამთარი დაგვიდგა;
ისეთი დიდი თოვლი მოვიდა,
რომ მთლად დაფარა ჯაგები,

ჩირგვები; დიდროან ხეებს ნახევრად ასწვდა; ზოგი მათგანი
ისე დაიტვირთა ზევიდამ, რომ მოხუცივით წელში მოიხარა,
ზოგიც თოვლზე წამოიქცა. აღარსად სჩანდა გზა და კვალი,
არ გაირჩეოდა, სად იყო ნაპრალი, სად იყო კლდე და ლრე.



სიცივისაგან ყვავიც კი ვეღარ აღებდა პირს, რომ დაეჩხერდა კაცობრივი მოვლენების შესახებ. რამდენჯერ გადავიჩეხენით ნაპრალებში, რამდენგან შევლებეთ თეთრი თოვლი ჩვენის სისხლით! საჭმელიც მთლად გამოილია. ნეკერი აღარსად სჩანდა, ზამთრის ბალაზე ხომ ლაპარაკიც კი მეტი იყო. ძირს დედა მიწას ვეღარ ვაწვდენდით პირს და მაღლა—ხეებს. ერთის სიტყვით, აღარ გვედგომებოლა მთაში. ძალაუნებურად უნდა მოგვეძებნა სხვა რამ მხარე, სხვა რამ ადგილი და საით წავსულიყავით, თუ არა ბარისაკენ. ბარში, რასაკვირველია, ნაკლებად იქნებოდა თოვლი, სიცივე და საჭმელსაც იქ უფრო ვიშვიდით.

ერთ საღამოს „ქორბუდამ“ რქები მხრებზე გადაიწყო, შემომხედა და გაიშვირა წინ ცხვირი: „იქით, იქითო“. ბატონი ხარ მეთქი, დაუკარ მეც თავი, თანხმობის ნიშნად, და გავსწიეთ ბარისაკენ. ის წინ მიღობდა, მე უკან მივდევდი; მივდიოდით ფრთხილად; მართალია, არა ბნელოდა, მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ სხვა ათასი საფრთხე გველოდა, გვეშინოდა, მტერს არსად წავწყვეტოდით. მშიგრებმა, დალლილ-დაქანულებმა, როგორც იყო, გათენებამდე მივაღწიეთ ბარს. ოჰ, რომ იკოდეთ, როგორ გამეხარდა! მთას შემდეგ ბარის ჰავა გაზაფხულად მეჩვენა. ჭალაში კარგა გულიანად ვისაუზმეთ და მივაგენით პატარა ფრთხილაც, საღაც წყლით გული ვიჯერეთ. შემდეგ „ქორბუდამ“ მიათვალ-მოათვალიერა იქაურობა და, რომ დავრწმუნდით, ჩვენს ახლოს არავინ არ იყო, წამოვწერით. მეგობარმა კისერზე ყელი გადამადვა, მივეთმუნეთ ერთმანეთს და ვისვენებდით ასე. მომაგონდა მთა, მომაგონდა, რა საშინელი სიმშილი და სიცივე გამოვიარეთ; მაღლობის ნიშნად, ვეალერსებოდი „ქორბუდას“; მაღრიელნი ვიყავით ორივენი ჩვენის ბედისა, გადაურჩით სიმშილით და სიცივით სიკვდილს.

მაგრამ ვაი, რომ დიღხანს არ გაგრძელებულა ჩვენი ბედნიერება! უცებ რაღაც ხმაურობა მოგვესმა. ჩვენ—ირმები ენით არ ვლაპარაკობთ, არამედ თვალებით. მე და „ქორბუდამაც“



ურთიერთული
სისტემული

ერთმანეთს შევხედეთ: „ნეტა რა ამბავი იქნება, საფრთხე ერთმანეთს. „მგონი ვიღა-
ხომ არ მოვცელის?“ ვეკითხებოდით ერთმანეთს. „მგონი ვიღა-
ცები გვიახლოვდებიან“, მითხრა „ქორბულაძ“ და ზეზე წამო-
იჭრა, გადახტა ჰალის პირისაკენ და გაჰქიცია მინდორს.

„ჰაფ! ჰაფ! ჰაფ!“ შემოვცესმა ძალლის ყეფა, დავინახეთ,
რომ ძალლი ჩვენკენ მორბოდა, მორბოდა კი არა, თირქმის
მოფრინავდა და თან ჰაფ-ჰაფი იძახდა.

„ირმის კვალია, ირმისა, აბა „ქორისჯან“, „ქორის“, უჰ,
შენ კი გენაცვალე მაგ ნახტომში!“ ისმოდა აქეთ-იქიდამ. ეჭვი
არ იყო, „ქორისას“ იმ შავბეწვა ძალლს ეძახდნენ, რომელიც
ჩვენკენ მოფრინავდა, რადგან წახალისებულმა უფრო უმატა
კამარას.

„მტერია, თავს უშველოთ“, მანიშნა „ქორბულაძ“ და
გადახტა ფიჩინანებში. რქები მხრებზე გადაიწყო და ისე მიარ-
ღვევდა ხშირს, აყრილს ჰალის. მე უკან მივდევდი. მალე სულ
ახლოს შემოვცესმა „ქორისას“ ხმა, მაგრამ ის ახლა მარტო
აღარ იყო. იმას ბანს სხვა ძალლებიც აძლევდნენ. ეჭვი არ
იყო, მტერი ბევრად უფრო მეტი მოგვსეოდა, ვიდრე ჩვენ
გვეგონა.

„ჰაუ! ყურშა, ჰაუ! ჰაი, ჰაჰაი!“ გვესმოდა აქეთ-იქიდან.
ჩვენ თავქვე მივაშურეთ, „ქორისა“ სულ ახლოს მოვდევდა,
მაგრამ რა გვექნა, რით შევბრძოლებოდით? ლმერთს ჩვენთვის
არაფერი საბრძოლველი იარაღი არ მოუცია და, ლვთის წინა-
შე, ვერიდებით კიდეც სისხლის ღვრას. ჰო, თავქვე დავეშვით,
გაველით კიდეც ჰალის, მაგრამ დახეთ ჩვენს უბედურებას:
გზა გადაეჭრათ, წინადამ მონადირები შეგვეფეთნენ.

„ბუჰ, ბუჰ, ზუუ... წუუ!..“ დაიგრიალეს თოფებმა და
ტყვიამ ყურებში გამწივლა. მე შიშით წავიქეცი, „ქორბულა“
ჰალხზე შედგა და უკან გადაქანდა. „ყოჩალ, გაბრო, შიგ
გულში გაუარა შენმა ტყვიამ“, დაიძახა ვიღაცამ. ერთ წუთს
თავბრუ დამესხა, სიკვდილმა ელვასავით გამიქროლა წინ, მაგ-
რამ ისევ მალე წამოვიჭერ ზეზე და დავედევნე „ქორბულას“,



რომელიც გაშეაგებული გარბოდა ჭალაში. ერთი, ორეთებულები რა და წამოვეწიე ამხანაგს. მადლობა ღმერთს, გაბრძოს უკუკის ამცდენოდა, დაქრილი არ ვიყავ. შეუა ჭალას რო მივაღწიეთ, ქარი ამოვიღეთ და ყური დაუგდეთ, საიდამ მოდიოდა ხმაურობა. ჩამი-ჩურმი არსაიდამ არ ისმოდა, მხოლოდ „ქორისა“ გვიახლოვდებოდა თანდათან ყეფით.

„მთისკენ, ისევ მთისკენ!“ მანიშნა „ქორბუდამ“ და ერთი ისეთი კამარა შეჰკრა, მეგონა, ძირს აღარ დაეშვება და, სულ ასე იფრენს მეთქი. „ჰაფ! ჰაფ! ჰაფ!“ შემოგვეცეთა წინადამ „ქორისას“ ამხანაგი. ძალლებს ამ მხრიდამაც მოველოთ. მეტი ილაჯი არ იყო, გვერდი აუქციეთ, გამოვტრიალდით მარჯვნივ და ისრებივით გავქანდით იქით, საიდამაც არაფერი ხმა არ მოისმოდა.

აპა, კიდეც მივაღწიეთ ჭალის პირს, გავალთ, გავატანთ მახეს, გავარღვევთ ალყას და ისევ მთისკენ მოუსვამთ. სულ ორი, სამი ხე-ლა გვაფარია წინ. „ქორბუდამ“ მთისკენ მიიღერა კისერი, შევხედეთ ჩვენს სამშობლო ქედებს და გაგვეხარდა.

„ბუჰ, ბუჰ“, დაიგრიალეს ამ დროს თოფებმა და „ქორბუდა“—მოსხლეტილი ოთხსავე ფეხებით დაეცა ძირს. მხოლოდ ერთი-ლა შემომხედა. შემომხედა გამწარებულმა. „მშვიდობით, მშვიდობითო“, მეუბნებოდა მისი თვალები. შემდეგ აღარაფერი დამინახავს, თვალთ დამიბნელდა, მივხედი, რომ ქორისას თავს საშინული უბედურობა დატრიალდა.

„ბუჰ, ბუჰ, ზუუ!“ თოფი თოფზე გრიალებდა და ტყვია ხან თავს გადამივლიდა ზუზუნით, ხან ყურებში გამწივლებდა. მივრბოდი და თვითონაც კი არ გამეგებოდა, საით; ვგრძნობდი კი, რო „ქორბუდა“ აღარ მომდევდა თან. მხოლოდ ქორისას ხმა-ლა მესმოდა ყრუდ; აერ ცოტა-ლა დამრჩა მთის ქედამდე. აღარც თოფების ხმა ისმის. მივაღწიე კიდეც ქედს; გონება-დაბნეულმა, თვალებ-არეულმა ავირბინე აღმართი და იქავე ხშირს ბარდებში დავეცი. მეტი აღარ შემეძლო, სული

შემიგუბდა სირბილით, გული კინაღამ ამომვარდა. უფრო მარტივი ფერდსა ვცემდი. რა მექნა? თავსაკვიდო რომ წამომდგომლენენ, ველარსად წავიდოდი. დეე, მეც მომკლან იმ ბოროტებმა მეოჯი, ვამბობდი გამწარებული გულში და ცრემლები წვიმასავით წიმომივიდა თვალებიდან. ოჯ, რატომ თქვენი ტირილი არ გაგონდებათ მაშინ, ადამიანებო, როცა ჩვენ ასე გვატირებთ! ქვითინი ვეღარ შევიმაგრე. უეჭველად მოკლეს, მომიკლეს ამხანაგი, ვფიქრობდი მარტოდ-მარტო ბუწკარებზე თავმიღებული. მერე რათა, ვის რა დაუშავეთ?! ოჯ, ულმერთოებო, ულმერთოებო, რათა, რა დაგიშავეთ?!. რა უყავით ჩემი „ქორბუდა“, ჩემი საყვარელი მეგობარი?! ვაიმე, ვაიმე, ჩემ „ქორბუდავ“! ვინ იცის, როგორ ჰგლეჯავენ ძალლები ახლა შენს მშვენიერს ტყავს, როგორ დაშვებულა ძირს შენი მშვენიერი რქები! გულმა აღარ მომითმინა, წამოვიჭერ ზეზე და გავიხედე ჭალისკენ, სადაც „ქორბუდა“. წიიქცა. მე უბედურს კიდევ რიღაცის იმედი მქონდა. გულს არ უნდოდა დაეჯერებინა თვისი სიობლე. მაგრამ, ვაი ჩემს სიბედეკრულეს! დავლუპულყავ, მართლა დავლუპულიყავ! „ქორბუდას“ რამდენიმე მონადირე აჯდა ზედ, ძალლები გარს შემოჰვეოდნენ ჯერ არ მომკვდარიყო, არ დაცლილიყო სისხლით და ფორთხიალობდა. „რა გიშველო, როგორ მოვებმარო, ჩემო სიცოცხლევ, რა შემიძლიან მე, უმწეოს?“ ველაპარაკებოდი შორიდამ „ქორბუდას“ და გული მიღნებოდა, ტანში სიმწარის ურუანტელი მივლიდა. მონადირეები ზეზე წამოდგნენ, „ქორბუდამ“ კი უკანასკნელად გადააგდო კისერი, დაანარცხა დედა მიწაზე რქები და აღარც კი განძრეულა. მოკლეს, მოკვდა...

— „ირემო, მთასა მყვირალო,

რამ ჩამოგაგდო ბარადა?

— მეუღლე მტერმა მომიკლა,

დავეხეტები ცალიდა!“

შემომესმა ამ დროს ჭალის პირიდამ სიმღერა. მხიარულობდნენ, იცინოდნენ.

ქორბუდა კი... ეეჭ!..

„ეგ სიმღერა იყოს შენი სამგლოვიარო და ჩემის დაობ-
 ლების ზარი, ჩემო „ქორბუდავ!“ მშვიდობით, ჩემო საყვარე-
 ლო, არ დაგივიწყებ, ვიდრე ასე მარტოდ-მარტო ვიხეტიალებ
 მთაში!“ გამოველაპარაკე შორიდამ უკანასკნელად „ქორბუ-
 დას“ და შეუდექ გზას დაობლებული; შორიდამ კი ისევ მო-
 ისმოდა მხიარულება და სიმღერა: „ირემო, მთასა მყვირა-
 ლო“.....

მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო უბედურო „ქორბუდავ!“

ახლა, ყმაწვილებო, დავდივარ, დავხეტიალებ მარტოდ-
 მარტო მთა-ბარად; ჩემი სიცოცხლე რაღა სიცოცხლეა! დავდი-
 ვარ დაობლებული და ყოველ წუთს თვალ წინ მიდგა ჭალის
 პირას ტყვიით განგმირული „ქორბუდა“, ვხედავ იმის დახუ-
 ჭულს ლამაზ თვალებს, და თანაც მესმის ჩვენის მტრების
 მხიარული სიმღერა:

„ირემო, მთასა მყვირალო,

რამ ჩამოგაგდო ბარადა?

- მეუღლე მტერმა მომიკლა,

დავხეტები ცალადა!“


დიალ, მომიკლეს, გამოასალმეს წუთი სოფელს ჩემი საწ-
 ყალი, უბედური „ქორბუდა“.

ი. ევდოშვილი.





გ ა ფ ი ს ე . *)



ენცის სახლი შუაგულ ტყეში იდგა,
ირგვლივ ბუჩქნარითა და მაღალის
ხეებით იყო შემორტყმული. სახლი
თითქოს მიწაში იყო ჩამდგრალი და
ოთახებში სინათლე ნაკლებად შედი-
ოდა. ვიდრე ოც-და-ათის წლისა გახ-
დებოდა, ასე ამბობდნენ. საწყალი ბიჭიათ. ცოლის შერთვის
შემდეგ კი — საწყალი კაციათ. მხოლოდ ეს იყო განსხვავება.
მამა მისი ცოტა უკეთესად ცხოვრობდა — ტყის მცელი იყო;
მაგრამ ამ ტყის აუარებელი სიმდიდრიდან თავის შვილს მხო-
ლოდ უმწარესი დაუტოვა — ფისი. ლენცი მაინც, როგორც
იყო, ახერხებდა ცხოვრებას. უკოლ-შვილო მეფისენი ფისს
აგროვებენ ტყეში და თან მხიარულად ღიღინებენ. არც ძა-
ლიან იაფად ჰყიდიან შეგროვილს ფისს. ამ გვარ შრომით
მხოლოდ მარტოხელა კაცს შეუძლიან თავის რჩენა, ცოლის
რჩენა-კი, და მერე შვილებისაც, ამ ხელობით ძალიან ძნელია.

*) ეს გადათარგმნილი მოთხრობა მარიამ ივანეს ასულის დემურიას
გარდაცვალების შემდეგ იპოვნეს იმის ქაღალდებში.

ნაცნობები პშბობდნენ, ლენცი სულელიაო, ცოლეს შეულებელი თვის თავი სადა ჰქონდაო. „მხოლოდ საწყლებს გაამრავლები“ ეუბნებოდნენ პირში. ლენცს ძრიელ სწყინდა ასეთი ლაპარაკი. მთელი იმის რწმენა, სიყვარული და იმედი ცოლსა და შვილებზედ იყო დამყარებული. როდესაც ტყეში დადიოდა, გაირკობდა ქუდში მწვანე ტოტს, მაგრამ იცოდა რომ ის ტოტი სხვისაა, ქოხი, რომელშიაც სკოვრობს, სხვის მიწაზედ სდგას, ბატონ გალგეიმის მიწაზედ, სხვის ხე-ტყით იყო აშენებული—ისევ იმავე გალგეიმის ხე-ტყით. ერთად-ერთი იმისი საკუთრება—ცოლი და შვილი იყო.

ერთხელ ბატონი გალგეიმი ტყეში ნადირობდა; გზაში შეეფეთა მეფისეს ცოლი და რაღაც ცუდი სიტყვა უთხრა,— მერე რა უყოთ? ის ხომ მდიდარია, ტყის პატრონიცა! ლენცი-კი სხვა აზრისაა: იმან ამ ბატონს, ტყის პატრონს, ბევრი საწყენი რამ უთხრა, დაავიწყდა, რომ ხუმრობა საქმე არ არის მდიდარ ბატონთან ლაპარაკი... ერთხელ სახლში მოუტანეს დიდი წერილი. თითონ ლენცმა კითხვა არ იცოდა, ცოლი-კი მცოდნე იყო ამ საუბედურო ხელობისა, ძლიერ ძლიობით გახსნა თხელი ქაღალდი—ფისიანს ხელებზედ ეკვრობოდა.

— დედაკაცო, მოდი ერთი ჩაიხედე, რა სწერია!

აი რა ეწერა წერილში: „ლორენც კაქბრეტერს, კესსერის ტყეში. გიცხადებ, რომ დღეიდან ფისის მოგროვება აგეკრძალა, ტყეს დაცვა უნდა და იმიტომ. თუ დაარღვევ ჩვენს განკარგულებას, კანონის ძალით იქნები დასჯილი.

უფროსი ტყის მცველი, ბატონ ფონ-გალგეიმის მონდობილობით.

აი, რა წიიკოთხა ახალგაზრდა დედაკაცმა.

— მარტო ეგა სწერია?—სთქვა ლენცმა, — ცოდვა არ არის, რომ ორ სიტყვა-ნახევრისათვის გაფუჭდეს მაგოდენა ქაღალდი?

ხელები შარვლის ჯიბეში ჩაიწყო და ბუტბუტით გასწია ტყისკენ. „აკრძალულია! ტყეს დაცვა უნდა! როგორ იყო



ქაღალდზე დაწერილი?! რასაკვირველია, სიტყვების მომღერალი გადასახმავისა ცალკეული გადასახმავი! კი იციან! ვითომ არ უფრთხილდებოდი ტყეს! შეპხედოს, რა უზარმაზარი ხეები სდგას! იმ ხეებს არ ვაცლიდი ფისს? მაშ, რად გაიზარდა?! რაღა ახლა აწყინა ფისის მოცლამ! ეშმაკმა წაილოს იმათი თავი! ახლა რაღა უნდა ვქნა?“

ლენცს თავის დღეში აჩაფერი არ უსწავლია. ბალახის შეგროვებას და ძირების ამოთხრას კიდევ მოახერხებდა; ერთად ერთი ეს-და დარჩენოდა. მთელი დღე დაფრატუნობდა ტყის ბილიკებზედ ოლრო-ჩოლრო ადგილებში. საღამოთი შინ დაბრუნდა კაპებ-შეკრული, გაბუსხული, და გაჯავრებულმა ხელი ჰკრა თავის პატარა გოგონას — მაგდალას, როდესაც, ჩვეულებისამებრ, მიუახლოვდა და ალერსინად ჰკითხა, რას აკეთებს ტყეში ირემო.

ირემი ტყეშიო? ამ სიტყვებმა ლენცს ახალი აზრები აღუძრა. გამოიღო შკაფიდან ძველებური ერთ ლულიანი თოფი და გასწია კვლავ ტყეში. შეჩერდა და ჰხედავს — შშვენიერი ირემი ქორ-ბუდიანი, უზრუნველად, უდარდელად მოდის მისკენ. კიდეც დაუმიზნა თოფი, — ლულაზედ ამოჭრილია გული და ჯვარი. ეს იმის მამის საყვარელი ნიშანი იყო; უცელა თავის ნივთზე ამოსჭრიდა ხოლმე ამ ნიშანს.

მამა! — მამაც ხომ ღარიბი იყო, მაგრამ გულით პატიოსანი დარჩა! თოფი ხელიდან გაუვარდა ლენცს. ირემიც სასწრაფოდ გაექანა მინდვრისაკენ.

გული და ჯვარი! მართალია, ცოლი და შვილი მყავს, მაგრამ, ღვთის მოწყალეობით, ვაკხოვრებ, როგორც იქნება. თუ სხვა ვერაფერი საქმე ვიშვე, ბალახეულს და მის ძირებს დაუწყებ გროვებას და ის იქნება.

რა მოხდა შემდეგ? ი რა: მწყემსები შეგროვდნენ და უჩივლეს, ბალახს აფუჭებს, ძირიან-ფესვიანადა სთხრისო. ლენცს ესეც აუკრძალეს. შემდეგ უსაგნოდ დახეტიალობდა ტყეში და აღარ იცოდა, რა საქმისათვის მოუკიდა ხელი.



ტყეში ხეტიალის დროს, თითქო ვიღაც ჩასხურჩულებდა ხოლმე ყურში: „ლენც, ლენც, შენც ადამიანი ხარ, შენცა გაქვს უფლება სხვაზე ლარიბად არ იცხოვრო; მოვალე ხარ შეინახო შენი იჯახი და არავითარი მოვალეობა არ გაწევს არც გალგეიმის, არც სოფელში მცხოვრებ მდიდარ გლეხების და არც გამვლელ-გამომვლელის წინაშე, რომელიც ტყეში შეგხვდება. ხოლმე.

—სჯობს დაიღუპო! — ჰყვიროდა ლენცი ჰაერში მუშტების ქნევით ამისთანა ცოლების დროს: — მე პატიოსანი კაცი ვარ და პატიოსან კაცად დავრჩები სიცოცხლის უკანასკნელ წამამდის!

ლენცს ძალიან უყვარდა ჩიბუხის წევა. დიდის ჯაფის შემდეგ მხოლოდ ჩიბუხის წევით ასაჩუქრებდა თავის თავს. ამჯამად-კი, რაკი ფული აღარა ჰქონდა, ფისსა ხეხავდა წიფელის ფოთოლზე და იმასა სწევდა. ბოლოს უკვირდა კიდეც, საწყალი ხალხი რადა ჰქონდა ამდენ ფულს თამბაქოს სასყიდლად, როდესაც ყველას თითონ შეუძლიან გააკეთოს თუთუნი ისე, როგორც მე ვაკეთებო.

მაგდალი კარგი ბავშვი იზრდებოდა — მეშვიდე წელიწადში გადადგა; იმედი ჰქონდა, საშობაოდ ყრმა იქსო საჩუქარს მოუტანდა, რადგანაც კარგად იქცეოდა. დედ-მამა მწარედ ილიმებოლნენ ბავშვის ტიტინზე. მართალია, ლენცმა საშობაოდ თეთრი პური და რამდენიმე გაშლი უშოვნა თავის პატარა გოგონას, მაგრამ მაგდალის ანთებული შობის ხე უნდოდა და და, რაღაც წინა წლებში ყოველთვისა ჰქონდა, ახალც მოუთმენლად ელოდა.

ლენცი კიდევ მთელი დღე არ იყო სახლში და სულ ტყეში დაბორიალობდა. დედამიწა ქვასავით იყო გაყინული, ხავსს ფეხებ ქვეშ ხაშა-ხუში გაუდიოდა და როვილით დამძიმებული ტოტები ხეებისა ძირს იწეოდა. ლენცი ურიცხვ ხეებს შორის დახეტიალობდა: აი, შეჩერდა ერთ პატარა ხის წინ.

— ეს კარგი იქნებოდა, ბუტბუტებდა ლენცი.—მაგრამ შეიძლება-კი? მართლა, რომ არ შეიძლება... ახლა რომ ვსოდეთ... მე დღეს გამომგზავნა ყრმა იქსომ, რომელმაც აღზარდა ეს დიდებელი მაღალი ტყე. განსვენებულმა მამაჩემმა რამდენიმე ათასი ხე ახარა აქ და უფრთხილდებოდა,—ნუ თუ მე ცუდად მოვიქცევი, რომ ერთად ერთი პატარა ხე მოვჭრა ჩემ მაგდალისთვის!?

სასწრაფოდ ამოიღო ჯიბის დანა და უცბად მოსჭრა ნაძვი. იმ წამსვე საშინელი ლანძლვა მოისმა. უცებ ლენცის წინ საიდგანლაც გაჩნდა ორი კაცი, სანადირო თოვებით შეიარაღებული: ეს იყო გალგეიმი და ტყის მცველი.

— ძლივს დაგიჭირეთ, შეჩვენებულო! — დაუყვირა ტყის მცველმა: — რა ხანია ჩვენს ტყეებში ვიღაცა სჭრის ხეებს. ჰე-დავთ, ეს ვაებატონი ბრძანებულა!

— ოჳ, რას მომცვიდით? ბატონებო, მე ქურდი ხომ არა გვინივართ?!

— მაშ, ვინ ხარ, თუ არ ქურდი, — მიუგო გალგეიმმა.

— მთელს ჩემს სიცოცხლეში ცუდის განზრახვით ხიდან ერთი ტოტიც არ მომიტებია.

— ეჲ! მაშ, ეს ნაძვი რისთვის მოსჭერი? ნიჩბისათვის თუ შეშადა?

— არა, ბატონო, ჩემის ქალისათვის მინდოდა შობის ხე მიმეტანა.

— კარგი ხერხი მოიგონა, გადაიხარხარა გალგეიმმა. — იცოდე, ქურდებსა და ტყის მჩენელებს არ შევიწყნარებ. ტყის მცველო, ეგ საზიზლარი კაცი დაიჭირე და დღესასწაულები ციხეში გაატაროს. ლენცს მარტო ის-ლა დარჩენოდა, რომ დაპორჩილებოდა; დაღვრემილმა თავი ძირს დახარა და დაპნებდა, რომ ხელები შეეცრათ და წაეყვანათ.

პატარა ნაძვის ხე ობლად დარჩა გაყინულ მიწაზე და რთვილის ფიფქები ბრჭყვინავდა იმის ტოტებზე ლამაზ სანთლების მაგივრად.

სატუსალოში ობობებს ქსელი გაებათ. შობის წინა დღეში ლენცია ცოტათი შეაწუხა ისინი.

ლენცი თმებსა და წვერს იგლეჯდა მწუხარებითა და სიბრაზით. სწუხდა თავის უბედურ ოჯახისათვის, რომელიც ამაოდ ელოდა. ცოლი ნალვლობს, ეშინიან, სასოწარკვეთილებას ეძლევა, ბავშვი ტირილით დაოსებული იძინებს — აი, რანაირად ეგებებიან შობას!

თითონ ლენცი-კი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში პატიოსნებას ემსახურებოდა, იმ სატუსალოში ზის, რომელშიც იჯდა ყაჩალი და იმის შემდეგაც ვინმე მაწანწალა, ავი სული იჯდება. დახე, რანაირად ვეგებები შობას!

ტყის მძარცველზედ გაჯავრებული და თანაც კმაყოფილი, ძლივს ვიგდე ხელთ დამნაშავეო, გალგეიმი სახლში დაბრუნდა; მაგრამ იქ დიდი არეულობა დაჰვდდა.

მისი ათის წლის ვაჟი, ტეობალდი, ჩვეულებისამებრ, საღილს შემდეგ სასეირნოდ წავიდა თავის თეთრის ცხენითა.

გალგეიმების სასახლე მეთექვსმეტე საუკუნეში იყო აშენებული; ამ სასახლეში იყო ერთი ოთახი, რომელშიაც ინახავდნენ სხვა და სხვა ძველებურ იარაღსა და საჭურველს.

იმ დღეს ბავშვმა მოინება ძველებურად შეიარაღებულიყო. უბრძანა მეჯინიბეს, კარგად გაასუფთავე ჩაჩქანი, ფარი და ხმალიო; ამ იარაღით შეჭურვილმა წარმოიდგინა თავი ახალგაზდა, რაინდათ, ვითომ საჯირითოდ მიღის, იქ მშვენიერი ქალები იქნებიან, გამოიწვევს საბუმბერაზოდ სხვა ახალგაზდებს და ლამაზების გულს მოიგებს მათის დამარცხებით. ფიცხი ცხენი კი მიჰქრის ამ დროს და თავმომწონე რაინდი უსიერს ტყეში ამოჰყოფს თავს.

ჩვეულებრივმა სეირნობის დრომ გაირა. — ტეობალდი არა ბრუნდებოდა. თოვლი მოვიდა, დაბინდდა — მაინც არა სჩანდა.

ეზოში ფარნები აანთეს; ამ დროს ბჭის კართან მოიჭრა

თეთრი ცხენი, ფაფარ-გაწეწილ—გაოფლიანებული. მხედარი ზედ აღარ იჯდა.

ყველანი აღშფოთდნენ. დედას გული შეუწუხდა. მამა გაფიტრებული ბოლთასა სცემდა ოთახში. მოსამსახურენი უთავბოლოდ დაფუსტუსობდნენ. გამდლების ოთახიდან მოთქმით ტირილის ხმა მოისმოდა. პატარა ბატონიშვილს სტიროდნენ. მეჯინიბენი მოასხდნენ ცხენებს და გაექანენ საძენებლად. ყარაული ისე დაიბნა, რომ სოფელი ფეხზე დაყენა ზარების რეკვით.

ყველაზე უწინ დიასახლისი მოვიდა გონსა. თუმცა ბნელოდა და დიდი თოვლი მოდიოდა, თითონ წავიდა შვილის საძებნელად; მაღალის ხმით ყვიროდა და სახელს უძახდა, ვიღრე ხმა სულ არ წაუვიდა. ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა მინდვრებსა და ტყეში, მხოლოდ საჯვაროზედ შეჩერდებოდა ხოლმე. საცა ჯვარცმა შეხვდებოდა, დაეცემოდა მუხლებზედ და ხელებს იმტვრევდა სიმწარითა.

ცოფიანივით მიჭიროდა გალგეიმი მთებსა და მინდვრებში. მზად იყო ვედრებით შეჭყითხებოდა იმ ირმებსა და შველებს, რომლებსაც ისე დაუნდობლად ჰქოცავდა: „ჩემი შვილი ხომ არ გინახავთო?“ ნადირნი გაიფანტნენ აქეთ იქით და, საფრებში მიყუჯულნი, შიშით იყურებოდნენ. გალგეიმი სიბნელეში წააწყდა მოჭრილ ხეს—ეს ის პატარა ნაძვი იყო, რომლის გულისათვისაც ლენცი სატუსაღოში დაამწყვდიეს. „იმ კაცსაც ხომ ჰყავს ცოლი და შვილიო“, გაურბინა ფიქრმა გალგეიმს და თითქო რაღაცამ უჩხვლიტა გულში. მან განაგრძო გზა და თავის საყვირს ჩაპერა.

მთელის სასახლის მცხოვრები გაიფანტნენ ტყეში. თითქმის ერთად ერთი ლენცი-ლა დარჩა მთელს დიდებულს შენობაში.

— რა უბედურება დაგვემართა შობის წინა ღამეს! — ეუბნებოდნენ ერთმანეთს ბავშვის საძებნელად წასულნი. — რა მოსაწყენი დღესასწაული გვექნება ხვალ!

საყვირს უკრავდნენ და ყურს უგდებდნენ, თოფს ისტოზღუდება
ნენ და ელოდნენ პასუხს,—სულ ამიოდ. მართალია, ზოგჯერ
თოფისა და ფეხის ხმაც მოესმოდათ, სცდილობდნენ მალე
ეპასუხნათ, მაგრამ თურმე ისევ მძებნელნიკი იყვნენ.

კვალი არსადა სჩანდა და არ იცოდნენ, რა ექნათ. ყვე-
ლა ამ უბედურებასთან უშველებელი ქარ-ბუქი ამოვარდა,
ფოთლების შრიალი ჰეფარავდა საყვირის ხმას.

თოვლის ფიფქები წითელ გარსკვლავებივით ფარნებს გარს
დასტრიალებდა.

(დასასრული იქნება).





ახალი წელი.



ამთარი არის, ქარი პქრის,
ქვითინებს დაჭრილივითა;
აწყდება შიშველ ტყე-მინდორს
მშიერი აფთარივითა.

თეთრადა ჰბარდნის მიდამოს
და ჰბურავს არე-მარესა;
თეთრ საბანს ჰბურავს ქოხ-მახებს,
თან იჭრიალებს კარებსა.

ძველ წელს დღეები ეთვლება
და თითქოს ებრძვის ახალსა;
კიდევ სწყურიან სიცოცხლე,
როგორც მომაკვდავს ერთ წამსა.
მაგრამ თენდება, მიყუჩდა
ქარის ქროლვა და სიმკაცრე;
ახალი წელი გათენდა—
ბნელს მოეფინა სინათლე.

ბავშვები მხიარულობენ,
 ყველა ამდგარა ღილითა:
 ერთმანეთს ეგებებიან
 ტკბილეულობა—ხილითა.

ანდრიაც მხიარულია,
 უცინის თავის ბალებსა;
 თუმც ლარიბია, ხელ-მოკლე,
 გულში არ უშვებს დარდებსა.
 მხიარულია კერაცა,
 ცეცხლი გიზგიზებს წითლადა,
 შემოსხდომიან ბალები,
 ლაზლანდარობენ ტკბილადა,
 რადგან ამ ღილით ცელქები
 დაასაჩუქრა ღედამა;
 ვაშლი, ჩურჩხელა და ჩირი
 უხვად მიიღო ყველამა.

სახე უღიმის ანდრიას,
 შეშას უმარჯვებს კერასა,
 ცეცხლაბირს სუფრა უშლია,
 უმასპინძლდება ყველასა.


აბრამიანიც წინ უდგას,
 ბეჭის პურები უწყვია,
 ზედ ღორის თავი, ბასილა,
 ხილეულობა უხვია.


გვერდთ მეკვლეუზის, შემდეგ სხვა,
 შვილის მომნათლი ნინია;
 მზარეულად ჰყავს მეუღლე,
 მეღვინეთ თავის შვილია.

ანდრია სადღეგრძელოს სვამს,
 ხელი მოკიდა ჭიქასა:
 „ეს გაუმარჯოს გლეხ-კაცა,
 „ვინც ოფლით ალბობს მიწასა;

„ზამთარი გაიპარება,
 „ოოვლი დაღნება, დაობება;
 „აფერადდება მთა-ბარი,
 „ბუნება მოიკაზმება.
 „გაგვიძლიერდეს მოკეთე
 „და დაგვიმარცხდეს ორ-გული“!..
 და ამ სიტყვებთან საერთოდ
 უცებ გაისმა სუფრული.
 - გამშიარულდა ოჯახი,
 სახე უბრწყინავს ყველასა;
 მაშ, მიულოცოთ მშრომელ ხალხს,
 დღეს დაჩაგრულს და ბეჩავსა!..

3. დვანელი.





ს ა ც ო დ ა ვ ი.

„ვაჲ, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზე გჭირსა!
სად წაიყვან სადაურსა.
სად აღვუფხვრი სადით ძირსა!..“
შოთა რესთაველი.

I

ამთრის ცივი ღამეა... მთელს ქალაქ-
ში ისეთი სიჩუმეა გამეფებული,
თითქო სასაფლაოაო. განაპირა ჩაბ-
ნელებულ მუშათა უბნის ერთ-
სართულიან პატარა ღარიბულ ქოხ-

ში, საიდანაც ოდნავ მბეჭუტავ სანათის მკრთალი შუქი
გამოკრთოდა, ვიღაც საბრალო, უმწეო აღამიანის განუწყვე-
ტელი კვნესა ისმოდა. ბინძურ და ნესტიან ბინის ერთ კედ-
ლის კუნჭულში, ფიცრის დაჯვრებულ ტახტზე, ჭუჭყიან საბან
ქვეშ იწვა ჯერ კიდევ ახალგაზდა, მაგრამ სნეულებისაგან
გაძვალ-ტყავებული, ფერ-მიხდილი მუშა და ნაღვლიანად ებუტ-
ბუტებოდა თავის თავს:

— შავი უბანი... შავი ცხოვრება... შავი შრომა... შავი
შიმშილი... შავი სიკვდილი და... ბოლოს ბნელი სამარე...





აი ხვედრი ყოველ უპატრონო და უსალსრო უშედებელ
მუშისა...

II.

ვინ იყო ეს საბრალო ავადმყოფი?

სოფლის ერთ-ერთი შეგნებული და მუყაით შრომის შვილი. საამისოდ ძალ-ლონეც მოსდევდა და გამჭრიახობაც მეტი ჰქონდა სხვა მოძმეებზე, მაგრამ, მოგეხსენებათ, მარტო ეს არა კმარა უმიწა-წყლოდ დარჩენილ გლეხ კაცისათვის... ვიდრე ცოლ-შვილს მოეკიდებოდა, კიდევ არა უჭირდა-რა... როგორც იყო შოულობდა სამუშაოს... შემდეგ კი ძალიან გაუძელდა ოჯახის რჩენა... ვინ იცის, რამდენი ტანჯვა და ვაივაგლახი არ გამოიარა; რა არ გადაჰხდა თავსა!.. დიდხანს ებრძოლა დუხშირ გასაჟირს, მაგრამ ვერ იქნა, ვერ სძლია... ცხოვრებამ თავისი გაიტანა... რაც კი რამ ებადა, ყველაფერი შემოელია... სამუშაოც აღარსად იშოვებოდა... დამშეულ ცოლ-შვილის ცოდვით ხომ გული ეთუთქებოდა... არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა... ვისთვის მიემართნა... საით წასულიყო... მრავალ ფიქრის შემდეგ, გადასწყვიტა განშორებოდა თავის სამშობლო არე-მარეს, საყვარელ კარ-მიდამოს და დროებით საღმე ქალაქში წასულიყო სამუშაოდ... თუმცა ძალიან ემძიმებოდა ოჯახის უპატრონოდ დარჩენა, მაგრამ რა ექნა, თუ კი სხვა შველა არ იყო...

და, აი, ერთ მშვენიერ დღეს, დილით ადრე თვალ-ცრემლიანი ვანო ქვითინით გადაეხვია თავის საყვარელ ახალ-გაზდა ცოლს, ძვირფასს საუნჯე გოგო-ბიჭიკოს, გამოეთხოვა და გულ-დაწყვეტილმა გასწია ქალაქისაკენ...

III.

ქალაქში ჩასვლის უმალვე, ვანო დაუყოვნებლივ შეუდგა სამუშაოს ძებნას... ბედმაც არ უმტყუნა პირველ ხანს... ერთ-ერთ ქარხანაში იშოვა ადგილი, საღაც, მრავალ მუშებთან ერთად, ეწეოდა რკინის მძიმე ულელს... თუმცა განვლილი და



ლამით მუშაობის შემდეგ, ქარხანაში დაეძინა, გაციებულიყო და მეორე დღეს დილით ძლივ-ძლიობით წაიყვანა თავისმა ამხანაგმა ავადმყოფი ვანო ბინაზე, სადაც ორნივე ერთად ცხოვრობდნენ...

აი აქედან იწყება ვანოს ბედის შავდაუკულმა წასვლა...
მას აქეთია დავრდომილი შესტირის ღმერთს, შეჰვენესს ქვე-
ყანას...

IV.

— ეჭ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, — მშუხარე-
ბით წარმოსთქვა ქვეშ-საგებში მდებარე ვანოშ. — რა ბედნიერად
ვერძნობდი თავს!.. მეტის სიხარულისაგან ფეხზე აღარ ვიდე-
ქი... ღლე-ღლამეს შრომაში ვატარებდი... მეგონა მეც-მოვეს-
წრებოდი კაცურ ცხოვრებას, ცოლ-შვილის გახარებას და ის
კი არ ვიცოდი, თუ რა უბედურებას მიშნადებდა ბედის წერა...

ოჰ, ღმერთო, ღმერთო სად არის შენი სამართალი,
სად.. ზოგს აუარებელ სიმღიღრეს ანიჭებ, ზოგს კი სიცოც-
ხლებაც სტაცებ...

— ეჭ, ყრუ ხარ, ღმერთო, ყრუ! — აშოთხვრით დაათავა
ვანომ და მოლლილი თვალები მილულა, იქნება ცოტათი
მაინც მიმეგინოსო, მაგრამ აშაოდ... გული უწუხდა... სული
ეხუთებოდა...

ავადმყოფმა ჭუჭყიან საბნელან გამხდარი და გაყვითლებული ხელები გამოჰყო, თავი მაღლა ასწია, უნდოდა ზეზე წამომჯდარიყო, მაგრამ თითქოს ნესტარი ჰკრეს გულშიაო,



იტაცა ხელი მარცხნია მკერდში და მძიმე ოხვრით მოსხლეები ლი დაეცა ისევ ლეიბზე... ტკივილისაგან სახე მოლად დაელრიჯა, კბილები დაალრწიალა და განწირულებით წარმოსთქვა: ვაიმე, დედაო...

V.

— სიკო... სიკო—რამდენისამე ხნის შემდეგ გაისმა ვანოს მისუსტებული ხმა; მის პირდაპირ, მეორე კედლის კუნჭულში მძინარე ამხანაგს ეძახდა. სიკო შეინძრა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ხელ ახლად ამოუშვა ხვრინვა.

— ეჰ, არავინ ყურს არ მიგდებს... არ მისმენენ... უველას მოვძულდი,—ჩიოდა საბრალო მარტოობაში და თვალები ცრემლებით ევსებოდა...

— ძმაო... სიკო... გამიგონე...

სიკოს გამოეღვიძა. ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა და უნდომლად გაეხმაურა:

— რა იყო, რა დაგემართა?! ხომ იცი, ექვს საათზე უნდა ავდგე სამუშაოზე წასასვლელად. მეც ძილი მეჭირვება თუ არა?—ნახევრად საყვედურის კილოთი მიუგო სიკომ.

— მაპატიე, სიკო... მაპატიე... გული ნუ მოგივა, შენი ჭირიმე... ვკვდები... მიშველე...

— ეჰ, კარგია ერთი, თუ ღმერთი გწამს! რა დროს სიკვდილია?

— რომ იცოდე, როგორ ვიტანჯები... სულს ველარ ვითქვამ...

— ნუ გეშინიან. ექიმმა სთქვა, მორჩებაო.

— ვმ... მორჩებაო... აკი ვრჩები კიდეც!—მწარედ ჩაიცინა ავადმყოფმა.

— წამალი დალიე?

— დავლიე, ძმაო, დავლიე... ეგ უარესად სწამლავს ჩემს სულსა და გულს... რგებით კი არაფერსა მრგებს...

— კარგი, კარგი ნუ შფოთავ, დაიძინე და გამოკეთდები—უთხრა სიკომ და ძილს მისცა თავი.

ოთახში ისევ მდუმარება ჩამოვარდა... ღამის სისტემები
მხოლოდ ავადმყოფ ვანოს გულ-საკლავი ყრუ სუნთქვა-გმინვა
არღვევდა... მის სარეცელს სიკვდილის შავი აჩრდილი დას-
ტრიალებდა...

VI.

შეა ღამე გადასული იყო... საშინლად ჰყინავდა... მოწ-
მენდილ, გამსჭვირვალე ცის სივრცეზე ციფად და ამაყად დას-
რიალებდა ფერ-მკრთალი მთვარე... ურიცხვი ვარსკვლავები
მაღაზაზ ციმიმით აკაშკაშებდნენ ლაუვარდის კიდურს... ქალა-
ქის საათმა ექვსი დაჰკრა... სადღაც, მიყრუებულ უბანში
ქარხნის კაეშნიანი სტვენა გაისმა... ავადმყოფმა ამოიგმინა...
ვინ იცის, რა მოაგონდა... რა იგრძნო?!. ეს ის ქარხანა იყო,
სადაც, მომავლის იმედებით გატაცებული, ვანო მუშაობდა...

სიკომაც გაიღვიძა... საჩქაროდ ჩაიცვა დაბრანძული შავი
ხალათი, ერთი ორი მუჭა წყალი შეისხა პირის სახეზე, აიღო
ქუდი ხელში და მივიღა ამხანაგთან...

— ვანო, გძინავს? — ჰკიოხა სიკომ.

— არა...

— როგორა გრძნობ თავს?

— კარგად, ძალიან კარგად .. მგონია, ღლეს მოვრჩები...

— მე მივალ სამუშაოზე, ხომ არაფერი გინდა?

— არაფერი... — წალი...

— მაშ, ყოჩაღად იყავი. ვაი, შენი ბრალი, თუ, ვიდრე
მოვალ, ფეხზე არ დამიხვდი. + აბა, შენ იცი. მშვიდობით! —
ნალვლიანის ხმით გაეხუმრა სიკო და თავ-ჩალუნული გაუდგა
გზის...

დაღვრებილი მუშები შევად გაიშალნენ ქუჩებში... ჩუმად
და უსიტყვოდ მიიმალნენ მჭვარტლიან ქარხნის კედლებ შო-
რის... კვლავ გაისმა საყვირის სევდიანი გუგუნი... ამოძრავ-
ლენენ მანქანები... დაიწყო ჯოჯოხეთური შრომა... იქ კი...
იქ... ნესტიან ბნელ ოთახის ერთ კუნჭულში, რამდენისამე
საათის შემდეგ, ჭუპიან ჭვეშაგებში მწოლარე მომაკვდავ



ვანოს უკანასკნელი სულის ხდომის ხრიალი გაისმოდა და შეატყობინა
სიცოცხლეს ესალმებოდა...


VII

სიბნელე ტყდებოდა... ვარსკვლავები ნელ ნელა ჰქონე-
ბოდნენ... ცა ერთხელ კიდევ ჩამობნელდა... ეს სინათლის
მოახლოვების ნიშანი იყო... აღმოსავლეთის ბურუსიან მთის
თაღი, ლაშვარდი ცა, ვარდის ფრად იღებებოდა... სირთა სა-
მეფო განთიადის მისასალმებლად დაემზადა, — აფორიაქდა,
ახმაურდა საზევსუროდა... გათენდა დილა... შორს, ამაყად
აზიდულ თოვლ-ყინულიან მთის მწვერვალზე, ცეცხლ წაკიდე-
ბულ ვეებერთელა ბუროიყით, ამოგორდა ბუმბერაზი მზე და
მეფურის მედიდურებით გაღმოჰქედა ტანჯულთა მხარეს, ნაც-
რემლ დედამიწას, მაგრამ ცივი და უგრძნობელი სხივები ვე-
ლარ ათბობდა მის თოვლით დაფარულ და ყინვით გათოშილ
გულს...

ქვეყანაშ გამოილვიძა... ყველაფერი ახმაურდა, ამოძრავ-
და... განიერ ქუჩებში ეტლები გამალებით მიჰქროდა... უდარ-
დელი, მორთულ-მოკაზმული ხალხი, უზრუნველ და კმაყოფი-
ლის სიცილ-კისკისით მხიარულობდა... ყველანი გარედ გიმო-
შლილიყნენ... მხოლოდ ავაღმყოფი ვანო ესვენა ჭუკუიან
საწოლში და ჩაცვივნული თვალები დაეხუჭა.. სდუმდა...
აღარა კვნესოდა... მრავალი ღამე გაატარა უძილობით...
ძლივს .. ღირსებია... სძინავს, სძინავს საცოდავს საუკუნო
მშვიდობის ღრმა ძილით... განთიადისას განუტევა ტანჯული
სული... ფილტვების ანთებამ გაიტანა უბედური...


გ. ქუჩიშვილი.





ოთხი წმინდა მევა.

(გერმანულით)



ვენმა მეფეებმა დიდი გაჯავრებით გადათელეს თოვლით დაფარული ტრიალი მინდორი. სანამ სოფელს მიაღწევდნენ, ერთი პატარა ტყე კი- დევ უნდა გაერათ. დიდრონ ხეებსა და ასკი- ლის ბუჩქებს შორის უკვე მოსჩანდა პირველი სოფელი, საიდანაც უნდა დაეწყოთ დღესასწაულის მილოცვა. სწორედ ამ ადგილს მისცვივდნენ ფრანცელს ამხანაგები და ძალით წაჰვლიჯეს თავისი კალათები და ქილები.

— ჩვენ შენთან ახლა არა გვესაქმებარა! — ერთბაშად შე- ცვირეს ამხანაგებმა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მო- კურცხლეს.

ბოროტმა მიხალესმა ვერ მოითმინა და ერთი ისე მძლავ- რად ჩაჰურა მუშტი გულ-მკერდში, რომ საბრალო ფრანცელი პირქვე გადაეშვა იქვე მახლობლად თოვლით ამოვსებულ თხრილში.

ფრანცელი დიდხანს უკონიდ ეგდო თხრილში. როცა გონს მოვიდა, დაინახა, რომ ერბოს ქილა გასტეხოდა და ოჭ- როს გვირგვინი ერთიანად დასკულეტოდა.

გვირგვინის დასკულეტა ყველაზედ უფრო დიდი უბედუ- რება იყო ფრანცელისათვის!...

საბრალო მწარე ქვითინით გაუდგა გზას მახლობელ სოფ-



ურუალუა
შემოწყვეტილი

ლისაკენ, მაგრამ თვითონაც კი არ იცოდა, რისთვის-ღი-
დიოდა იგი სოფელში. განა მარტოდ-მარტო მეფე ბალტა-
ზარს შეეძლო მიელოცნა ვისმესთვის?

სოფლის დასაწყისში, პირველ სახლის დერეფნიდანვე
ფრანცელს შეეხმაურა ერთი მოხუცი, სახე დანაოცებული,
გლეხის ქალი:

— ბავშვო, ვინა ხარ? საიდან მოდიხარ?

— მე ფრანცელს მეძახიან! მე სამ წმინდა მეფეთაგანი ვარ!

— ორნი სადღა არიან?

— გამექცნენ და მე კი თხრილში გადამაგდეს, ცრემლე-
ბის ღაპა-ღუპით უპასუხა ფრანცელმა.

— რადა? — შეეკრთხა მოხუცი ქალი.

— მიტომ, რომ ჩემთან სიარული იუკადრისეს.

— აჯ! რა საძაგელი ბავშვები ყოფილან! ნუ სტირი, ნუ
სტირი, ჩემო კარგო! აბა, რა გატირებს! შენ უიმათოდაც
კარგი მეფე ხარ! რაუყოთ, რომ სამნი არა ხართ! განა შენ
მარტო არ შევიდლია მოგვილოცო დღესასწაული! შემოდი
სახლში, ჩემო კარგო, ახსენე ღმერთი და მოგვილოცე დღე-
სასწაული!...

თვალ-ცრემლიანი ფრანცელი მოკრძალებით შევიდა სახლ-
ში, პირზედ ჯვარი გადაისახა, როგორც ამას მილოცვის ადა-
თი თხოულობდა, და დაიწყო თავისი სამეფო საგალობელი.

სწორედ იმ დროს იქვე კარებთან მდგომა თხამ ისე
წაპრა რქები ფრანცელს, რომ საბრალომ საგალობელის უკა-
ნასკნელი სიტყვები მუცელში ჩაიკლა. მოხუცმა ქალმა ამ
სურათის დანახვაზედ სიცილი ვერ შეიკავა და ისე ლაზათია-
ნად გადაიხარხა, რომ ფრანცელი სირცხვილისაგან თფლში
გაიწურა.

-- ასე, ასე, ჩემო პატარავ, ჩემო კეთილო მკვლეველო,
ჩემო წმინდა მეფევ, ჩემო ბალტაზარ! კეთილი იყოს შენი ფე-
ხი ჩემს ოჯახში! — სიხარულით მიეხმატებილა მოხუცი ქალი
ფრანცელს და ამ სიტყვებთან ერთად გამოიტანა ოთხიდან



მსხალი, ვაშლი, ძეხვები, ჰური და მისთავაზა პატარა მეცნიერებების ფულის შესანახავ პატარა ყულაბში უზალოუნი ჩაუგდო. ფრანცელი გულამოსკვნით სტიროდა, მაგრამ ეს ცრემლები მწუხარების ცრემლები როდიდა იყო! ფრანცელი მეტის სიხარულისაგან აფრქვევდა ნეტარების ცრემლებს.

პირველმა ბედნიერმა ნაბიჯმა მეტად გაამხნევა ბავშვი: იგი ეზოდან ეზოში გადადიოდა და ბედნიერ დღესასწაულს ულოცავდა სოფლელებს.

ფრანცელის სამწუხარო მოგზაურობის ამბავი ყველას პირზედ ლიმილს ჰგვრიდა, მაგრამ ამავე დროს ყველას გულს უჩუყებდა და ამიტომ ყველანი უხვად ასაჩუქრებდნენ ახალგაზდა მეფე-ბალტაზარს. ფრანცელის კალათი და ფულის პატარა ყულაბი თან და თან უფრო ივსებოდა საჩუქრებით.

ფრანცელს სახლში დაბრუნება მხოლოდ მაშინ მოაგონდა, როცა უკვე ღამდებოდა. მძიმედ დატვირთული ფრანცელი შინისაკენ გაუდგა გზას. საბრალო მეტად დაღლილი იყო, ფეხებს ძლივსლა ადგამდა, ერთიანად ოფლში იწურებოდა. ამასობაში მოილრუბლა და ერთბაშად თოვლი წამოვიდა. დაღლილი და დაქანცული განუწყვეტლივ ტანთსაცმელიდან თოვლს იბერტყავდა, მაგრამ ბამბასავით თეთრი თოვლი ელვის სისწრაფით ედებოდა ზურგზედ და ისედაც მძიმე გზას უმძიმებდა. ოქროს ვარსკვლავებით მოჭედილი სამეფო წამოსახამი ერთიანად დაუსველდა და წამ და უწუმ ფეხებში ებლანდებოდა.

საშინელ მდგომარეობას განიცდიდა საბრალო ფრანცელი. ბნელი ღამე, თოვლი, სიცივე და დღისით მოგროვილი საჩუქრები მეტად აუტანელად ხდიდნენ მის მოგზაურობას. საბრალომ ერთხელ კიდეც გადასწყვიტა კალათს ტყეში დავსტოვებ და მოვკურცხლავო, მაგრამ ტკბილ სანოვაგეთი სავსე კალათი დაენანა. მერე, საჩუქრები რომ ტყეში დაეტოვებინა, თავისი საყვარელი დედა რითლა გაეხარებინა!...

ურთიერთობის
მიმღები მუნიციპალიტეტი

— არა, არა, ეს ყოვლად შეუძლებელია! — ოდიშის მუნიციპალიტეტის გონის ხმით წაიღუდუნა ფრანცელმა და ცრემლების ღაპა-ღუპით გაუდგა გზას.

ტყის შუა ადგილას ფრანცელი შეჩერდა, რადგან ისე დაიღალა, რომ ფეხის გადადგმა არ შეეძლო. ტყის მცუდრო ადგილას ჩამოჯდა ერთ ნაძვის ხის ძირში და გვერდით ისე ახლოდ მოიდგა საჩუქრებით სავსე კალათი და საფულე ყულაბი, თითქო ეშინიან არავინ მოვიდეს და არ დამღუპოს, კალათი და ყულაბი არ ამაცალოს.

ბამბასავით თეთრი თოვლის ფიფქები ფრანცელს მძიმედ ედებოდნენ პირის სახეზედ. საბრალოს კიდევაც მოშივდა; კალათიდან ამოილო ნატეხი პური და ისე გემრიელად ილუკმებოდა, თითქო ნუჯგარს რასმე შეეჭევაო. როცა ცოტათი კუჭი გაიძლო, რაღაც გამოურკვეველი სიამოვნება იგრძნო, ერთი ღრმად ამოიოხრა და თვალები დახუჭა. თოვლის ნაფერ-თლები ისევ განუწყვეტლივ მოსცვიოდა ცის სივრციდან და მძიმედ ეფინებოდა თოვლზედ მისვენებულ ყმაწვილს.

ლამის წყვდიადი თან და თან უფრო ძლიერდებოდა. თოვლის ნაფერთლები ცაში ათასნაირად ირეოდა. ყმაწვილი ისევ თვალებ დახუჭული იყო მისვენებული ნაძვის ძირში, გეგმნებოდათ, ღრმად ჩასძინებიაო. მაგრამ არა! განა ფრანცელს ძილისათვის სცხელოდა?... განა შესაძლო იყო, იმის თვალებს ძილი მოჰკიდებოდა, როცა მთელი ტყე ირგვლივ ჩირალდანივით განათებულიყო!... სცივოდა, ცახცახებდა, ხელები და ფეხები უმოძრაოდ ეწყო ერთიანად მოღუნებული. საბრალოს მხოლოდ შუბლი გასცხელებოდა და ისიც, იმის აზრით, იმიტომ რომ თავზედ ოქროს გვირგვინი ედგა, რომელიც ძალზედ უხურებდა შუბლს.

დიალ! მარტოდ მარტო შუბლი უხურდა საბრალო ფრანცელს! უნდოდა ხელი გადაესვა შუბლზედ, მაგრამ ხელები არ ემორჩილებოდა, ხელებს ვერ ამოძრავებდა!...

ღმერთო ჩემო! ხელების ასე დაუძლურება დიდი უაქედურება
რება იყო ფრანცელისათვის! ახლა რომ მოსულიყვნენ ღურგ-
ლის შვილები და ბოროტი მიხალესი, ხომ ადვილად წართ-
მევდნენ საჩუქრებით სავსე კალათს და ყულაბს!.. მერე თავის
საყვარელ დედას რას მიუტანდა, რით გაახარებდა?

შეშინებულმა ფრანცელმა უეცრივ გაახილა თვალები და
ტყეს დაუწყო ცქერა, რომელიც ამ ღროს თითქო ცეცხლში
იბუგებოდა. ფრანცელს ისე შემოესმა, თითქო ვიღაც მოდიოდა,
თითქო ვიღაც კიდევაც ლაპარაკობდა.

მართლაც, პატარა ხნის შემდევ, ფრანცელმა დაინახა სამი
წმინდა მეფე თეთრსა და ბჟყვრიალა ტანთსაცმელითა.

— დედა! დედა! — ერთი ხმა მაღლა უნდოდა შეეყვირა
ფრანცელს, მაგრამ საბრალოს კრიჭა შევქროდა, კბილებს
საცოდავად აკაწკაწებდა და, აბა, როგორლა მოახერხებდა
თავის საყვარელ დედასთან ტკბილად შეხმაურებას.

მეფები კიდევაც მოუახლოვდნენ ფრანცელს, მაგრამ
ესენი მისი ამხანაგები არ იყვნენ! ესენი ნამდვილნი, მძლავრნი და
დიდრონი წმინდა მეფები იყვნენ. მათ შორის ყველაზედ უფ-
რო მაღალი, მეფე ბალტაზარი იყო. ყველას თეთრი და დიდ-
რონი წვერები ჰქონდათ, თვითოვეულს ბრჭყვიალა გვირგვინი
უმშვენებდა თავს. „მელქიორ!“ უთხრა მეფე ბალტაზარმა თა-
ვის ამხანაგს: „ხელავ, ნაძვის ძირში ყმაწვილს სძინავს!“

მეფე მელქიორი მიუახლოვდა თოვლზედ მისვენებულს
ყმაწვილს, პირზედ გადაუსვა თავისი ციფი ხელები და ჰკითხა:

— ყმაწვილო, საიდანა ხარ?

— მე სამ-მეფეთაგანი ვარ! — უპასუხა ფრანცელმა.

სამივე მეფემ გულიანად გადაიხარხარეს.

— აბა, ეს რა წარმოსადგენია, როცა სამნივე მეფენი
აქა ვართ! მე ბალტაზარი ვარ, აი, ის მელქიორია, და მე-
სამე კი კოსპარია!

— მეც მინდა ვიყო ერთი ამ სამ მეფეთაგანი! ღმერთო
ჩემო, როგორი ბედნიერი ვიქნებოდი! როგორ გავიხარებდი!



— დიდის სიამოვნებით, მაგრამ საშ წმინდა მეფეების მეოთხე მეფესთან სიარული არ შეუძლია! მაგრამ, იცი რა გითხრათ? შენმა ნაცნობმა ბოროტმა მიხალესმა წაიღო ჩვენი ვარსკვლავი და, აბა, უვარსკვლავოდ სახლში დაბრუნება როგორ შეგვიძლია?.. იცი, რა გითხრათ? შენ იყავი ჩვენ ვარსკვლავად! კარგია?

— ძრიელ კარგი! ძრიელ კარგი! დიდის სიამოვნებით! დიდის სიამოვნებით! მე ვიქნები თქვენი ვარსკვლავი! მე ახლა ძლიერ მთბილა, მთელი სხეული დამიამდა, ვარსკვლავივით ვანათებ! — სიხარულის კილოთი უპასუხა ფრანცელმა.

— მაშ, წამოდი ჩვენთან! — უთხრა მეფე ბალტაზარმა.

ამ სიტყვებთან ერთად ფრანცელს ყინვის რკალები თითქო მოეშვა. ის იჯდა მჭვირვალე ცეცხლის ბურთში, რომლის შეა გულიდან დედა მიწას ცეცხლის სხივები ეფინებოდა.

წმინდა მეფეები გაუდგნენ გზას, აფრინდნენ მაღლა, მაღლა, ასცილდნენ მაღალ ხეების მწვერვალებს და პირდაპირ ცისაკენ მიაშურეს.

ფრანცელი მიფრინავდა მეფეების წინ და მხიარულად გაიძახოდა: „მე ვარსკვლავი ვარ, მე ვარსკვლავი ვარ! მე შემიძლია უფრო მაღლა და მაღლა ავფრინდე!“


ბამბასავით თეთრად გაპენტილი თოვლის ნაფერთლები დედა-მიწას უხვად ეფინებოდა, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. მხოლოდ დროგამოშვებით თოვლით დაფარულ ხის ტოტების საიდუმლო შრიალი არღვევდა ამ მყუდროებას.

განთიადისას ორუბლებით მოჩითული ცა გადაიწმინდა და თოვლის ნაფერთლებმაც შესწყვიტა ჰაერში ტრიალი. მშვენიერი დილა იყო. ფრთოსანთა საამური ჭიკჭიკი ღრმად სწვდებოდა გულში ტყის მიდამოებს. მხე ყველგან უხვად აფრქვევდა თავის მაცოცხლებელ სხივებს, ყველგან და ყველაფერს ეალერსებოდა.

ბუნების ამ საერთო დღესასწაულში მონაწილეობას მოგვიანების იღებდა მხოლოდ ის ადგილი, საიდანაც მოსჩანდა დიდი და ბრწყინვალე ვარსკვლავი, სწორედ ის ადგილი, საცა მისვენებულიყო საბრალო ფრანცელის გაციებული გვამი. მზეც თითქო ამ ადგილს გაურბოდა და მორცხვად ლრუბლებს თავს აფარებდა.

(დასასრული)

ა. მიქაბერიძე.





ბატონ-ყმობა რესერვა და საქართველო.

რმოც და თის წლის წინად მოხდა ერთი
დღი და მეტად კეთილი ცვლილება. 19
თებერვალს 1861 წელს გამოიცა უქაში, ანუ ბრძანება,
ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მეორისა, რომლის ძა-
ლით უქმდებოდა და ისპობოდა ბატონ-უმობა რუსეთში. ჩვენ-
ში, საქართველოში, ამ სასიხარულო და სანეტარო ცვლილე-
ბამ დაიგვიანა სამის წლით, და იგი გამოაცხადა კავკასიის
ნამესტნიკმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, მხო-
ლოდ 1864 წელს ნოემბერში.

ჯერ გავითვალისწინოთ, რა იყო ბატონ-ყმობა როგორც
რესერვი, ისე ჩვენში.

— ბატონ-ყმობის ღროს თითქმის მთელი ერი განიყოფებოდა ორ ნაწილად: ბატონებად და ყმებად. ბატონებად იყვნენ თავის-აზნაურნი, ყმებად — გლეხები.

ბატონებს საკუთრებად ჰქონდათ დაჩემებული ყველა უძავი ნაწილი სამშობლოსი: სახნავ-სათესი, ტყე და ველი, მთა და ბარი, ერთის სიტყვით, მოელი მიწა-წყალი. ისინი პირადად არც ხნავდნენ, არც სოესდნენ, არც მკიდნენ, არც ლეჭდნენ, არც ფეხავდნენ, არც უვლიდნენ ვენახებსა, არც კრეფლდნენ დასაწურავად ყურძენსა, არც აშენებლნენ სახლებსა, არც ჰკერავდნენ ტანისამოსსა და ყოველს გვარს ხელობას და სამუშაოს მოშორებულნი იყვნენ. იდგნენ სასახლეებში, რო-



მელნიც აშენებულნი იყვნენ ყმების მარჯვენით. ბატონის ფრთხილი იკვებებოდნენ ყმების ოფლით მოყვანილ პურითა და ღვინით, შეექცეოდნენ ხორცისა, რომელსაც აძლევდა საკლავი საქონელი, გამოზრდილი ყმებისაგან, და სხვანი. ბატონები ქეიფობდნენ, ლენინბდნენ, ქორ-მედებრებით დანაღირობდნენ და ხანდახან ერთობოდნენ ლექსებისა და მოთხრობების კითხვით. მაგრამ ეს უქმი ადამიანები ერთს დიღს სამსახურს უწევდნენ ქვეყანასა. გაიგებდნენ თუ არა, მტერი შემოსევას გვიპირებსო, მსწრაფლ შეიარაღებოდნენ, მოასხდებოდნენ ცხენებსა, შეადგენდნენ ცხენოსანს ჯარსა და მიიამხანაგებდნენ ქვევითა ჯარს გლეხებისასა, გაიმძლეარებდნენ წინ საუკეთესო მეომარ ვაჟკაცსა, მტერს მამაცურად შეებრძოლებოდნენ, უკუ აქცევდნენ და იცავდნენ სამშობლოსა დარბევისა და აოხრებისაგან.

ბატონები შეორე სიკეთესაც სძლვნიდნენ სამშობლოსა. ზოგნი მათგანნი მისდევდნენ მწიგნობორობასა, სთარგმნიდნენ უცხო ენებიდან ქართულად კარგს თხუზულებებსა, თვითონ თხუზავდნენ ქართულს ენაზე ლექსებსა, მოთხრობებსა, გამოკვლევებსა და ამდიდრებდნენ ეროვნულ ლიტერატურასა.

სრულიად სხვა მდგომარეობას განიცემიდნენ ყმები. იგინი ყოველ ცისმარე დღეს ჯაფასა და გარჯილობაში იყვნენ გარიერაჟიდან დაწყებული დაღამებამდინ, თავისუფალი დრო სრულიად არ ჰქონდათ. და ან საიდან ექმნებოდათ, როცა ყმებს თავისი ბატონებიც უნდა მდიდრულად ეცხოვრებინათ და თავისი თავიც შეენახათ. ეს შით უფრო ძნელი იყო, რომ ეს შრომის შვილები მოკლებულნი იყვნენ ყოველს უძრავს საკუთრებას. მათი სახნავ-სათესი მიწები და ვენახები ბატონებს ეკუთვნოდათ, და ყმები მოვალენი იყვნენ დიღი ღალა-კულუხი ეძლიათ მათვის. ამითიც არ თავდებოდა უსამართლობა. თვითონ პირადად ყმები შეადგენდნენ სრულს საკუთრებას ბატონებისას. ბატონს შეეძლო ყმა ეყიდნა და გაეყიდნა, როგორც რაიმე ნივთი. თუ ბატონი მოითხოვდა მოსამსახურედ თავისის ყმის ვაჟსა, ან მოახლევდ მის ქალსა, ყმა ვალდებული

იყო აესრულებინა მისი სურვილი. ერთის სიტყვით, მაგრამ უკველი უფლება ჰქონდა თავისს ყმაზე; მხოლოდ არ შეეძლო მისი მოკვლა; მოკვლისათვის სასჯელი მოელოდა, თუმცა მცირედი.



ალექსანდრე მეორე

როგორც პხედავთ, უმობა ნამდვილი მონობა იყო გლებისა. ამის გამო, როცა მეფე ალექსანდრე მეორემ გლეხები



გაანთავისუფლა ყმობისაგან, მაღლიერმა ერმა მას უწოდეს შესაბამის განმანთავისუფლებელი.

ბატონ-უმობას სხვა და სხვა ხასიათი ჰქონდა რესერსა და საქართველოში. რესერსი არსებობდა მუდმივი ჯარი, რომელიც იცავდა თავისს ქვეყანას გარეშე მტრებისაგან და ბატონებსაც ეხმარებოდა, როცა გაბრაზებული ყმები ურჩიბას გამოიჩინდნენ ხოლმე. საქართველოს მუდმივი ჯარი არა ჰყოლია; ჩვენს ქვეყანას, უმთავრესად, თვითონ გლეხობა იცავდა. იყო იყო მუდამ შეიარაღებული და ხიფათის დროს ქუდზე კაცი გამოჰყავდა ბრძოლის ველზე. ცალ ხელში ეჭირა ჩვენს გლეხობას ხმალი მტერთა წინააღმდეგ, მეორე ხელით აწარმოებდა გუთანს და ქვეყანას საზრდოს უმზადებდა. დიალ, ჩვენებურს გლეხს თამამად შეეძლო დაეკვენა თავისი ღვაწლიანი არსებობა.

როგორც უკვე ვთქვით, ბატონები შეადგენდნენ ცხენოსანს ჯარსა და ქვეითა ჯართან ერთად ებრძოდნენ გარეშე მტრებსა; ხოლო მთელი ქვეითა ჯარი გლეხთაგან იყო შემდგარი. გლეხებსა და ბატონებს შუა არავითარი მესამე ძალა არ არსებობდა, რომელსაც შესძლებოდა გამოსარჩევებოდა ბატონებსა, თუ მათ გლეხობა აუჯანყდებოდა. გლეხები შეადგენდნენ დიდს, მეტად დიდს უმრავლესობას, ბატონები—უმცირესობასა. ეს უმცირესობა ძალაუნებურად უნდა ხათრი-ჯამიანად მოჰქცეოდა უმრავლესობასა, თორემ მოთმინებიდან გამოსულს გლეხებს შეეძლოთ ცუდი დღე დაეყენებინათ შემავიწროებელ ბატონებისათვის. ამის გამო ბატონები რბილად, შეღავათით ექცეოდნენ გლეხებსა და ყველაფერს როდი თხოულობდნენ მათგან, რის უფლებასაც მაშინდელი კანონი აძლევდა მათ. საქმე იქამდინ მიდიოდა, რომ ბატონებს თავისი ყმების დოვლათი საკვეხურად ჰქონდათ.

ასეთს ხათრი-ჯამიბის განწყობილებას სხვა მიზეზიც ეხმარებოდა ძველს საქართველოში. ცხოვრება მაშინ ძლიერ მარტივი იყო. ამ მარტივს ცხოვრებას მისდევდნენ არა მარტო



ვლეხები, არამედ ბატონებიცა. ბატონებიც კმაყოფილდებოდა
ნენ შინაურ ნაწარმოებით: ქართულ პურით, ქართულ ღვი-
ნით, ქართულ სანვაგით და ქართული ტანისამოსით. ქარ-
თულს ტანისამოსს ჰქერავდნენ ქართველი დერციკები ქარ-
თულ ქსოვილებიდან, რომელსაც ამზადებდნენ ქართველი ფე-
ქრები. საფეიქროებით მაშინ მოფენილი იყო არა მარტო
ქალაქები, არამედ სოფლებიცა. ძვირფასს ფარჩეულობას, უც-
ხოეთიდან მოტანილს, არ ეტანებოდნენ მაგრე—რიგად ოვით
ბობოლა ბატონები და მათი კნეინები, დიდის სიმდიდრის
პატრონები. ერთის სიტყვით, ბატონებს და ქალბატონებს
მოთხოვნილება მცირედი ჰქონდათ და ამის გამო მცირედსაც
ითხოვდნენ თავის ყმებისაგან. სწორედ ამითი აიხსნება ის მოვ-
ლენა, რომ საქართველო, გარეშე მტრებისაგან აკლების შემ-
დეგ, მალე დადგებოდა ხოლმე ფეხზე და ისევ დოვლათით
ივსებოდა. ამითივე უნდა ავხსნათ ისიც, რომ ძველს საქარ-
თველოში ბატონებს ვალი არ ემართათ და მამულების დაგი-
რავება ვალის გადასახდელად მაშინ თითქმის გაუგონელი ამ-
ბავი იყო ჩვენში.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ბატონ-ყმობამ ჩვენში სხვა
ხასიათი მიიღო. ჩვენის ქვეყნის დაცვა გარეშე მტრებისაგან
იკისრა რუსის სამუდამო ჯარმა; ჩვენებურმა გლეხობამ
ხელიდან გაუშვა თოფ-იარალი და გადაეჩვია მის ხმარებასა.
ბატონებსა და ყმებს შეა ჩამოდგა ახალი, მესამე ძალა—სამუ-
დამო ჯარი და სარჩლი დაუწყო პირველებსა. ბატონებმა
დიდი გული მოიცეს, შიში გლეხების უკმაყოფილებისა გაუქ-
რათ და ბევრად მეტი სამსახური მოსთხოვეს მათ. ეს ზედ-მეტის
მოთხოვნა იმანაც გამოიწვია, რომ ბატონებმა მარტივ ცხოვ-
რებას ულალატეს, ევროპის მოდებს გამოუდგნენ, ქართულ
ღვინის ნაცვლად შამპანური შეიყვარეს, ბალებში იწყეს სია-
რული, ძვირფასს ტანსაცმელში გამოწყობილებმა, ქალალდის
თამაშობას გაჰყვნენ, რაც ძველს საქართველოში არა ყოფი-
ლა, ვალებში ჩაცვიდნენ და თავისი მამულები პრიკაზსა და



ვაკრებს დაუგირავეს. უმებს წინანდელზე მეტი გადასახადი ჰქონდა ამის გამო ურთიერთობა მებატონეთა და ყმათა შორის გამზვავდა, უწინდელი ხაორი-ჯამობა გაქრა, სიბრაზე და მტრობა ორ წოდებას შორის გაძლიერდა.

რაღა საკვირველია ამის შემდეგ, თუ არამც თუ გლეხები, არამედ ყოველნი გონიერნი და თავის ქვეყნის ერთგულნი ქართველნი სიხარულით აღისნენ, როდესაც ხმა გავარდა მესამოცველების დამდეგს, რომ ბატონ-უმობა უქმდება, ისპობაო. მაგრამ ცოტა გულს-დაკლო გლეხობასა და შეგნებულს ქართველობას ორმა გარემოებამ: ჯერ იმან, რომ ბატონ-უმობის გადავარდნა მთელის სამის წლით დააგვიანა ჩვენში მთავრობამა, და მერმე იმან, რომ ეს რეფორმა, ეს ცვლილება, ისე არ მოხდა ჩვენში, როგორც სანატრელი იყო. მართალია, 1864 წელს ჩვენებური გლეხები პირადად განთავისუფლდნენ, ბატონებს ჩამოერთვათ უფლება მათის გაყიდვისა და ყიდვისა, მათ მოსამსახურედ წაყვანისა და **სამუშაოდ** დაბარებისა; მაგრამ მამული განთავისუფლებულს გლეხებს ცოტა მიეზომათ და ისიც იმ პირობით, რომ მეოთხედი მოსავლისა ბატონებისათვის ეძლიათ. ეს მეოთხედი რუსეთში იყო. შემოღებული და ჩვენშიაც განაწესეს. მაგრამ რუსეთში მთავრობამ მაღე მისუა შეძლება გლეხებს შეესყიდათ **საკუთრებად** მიწომილი მიწები, ესრედ წოდებული **ნადელები**, ჩვენში კი დღემდინ ეს **ნადელები** შეუსყიდველნი არიან გლეხებისაგან, რომელთაც დიდ ტვირთად აწევთ კისერზე მეოთხედის ძლევა მემამულების სასარგებლოდ.

ეს მეოთხედი მოსავლისა **სრულიად** არ შეესაბამებოდა წინანდელს ქართველთ ჩვეულობასა. ჩვენში კეთილი მებატონები ღალად სჯერდებოდნენ მეათედსა, ხარბნი და შეუწყნარებელნი—მეხუთედსა. მეხუთედზე მეტის აღება ჩვენში არავის გაეგონა არამც თუ ძველს **საქართველოში**, როდესაც იგი საკუთარ სამეფოს შეადგენდა, არამედ რუსეთთან შეერთების შემდეგაც. მაში, რად შემოიღეს ჩვენში ეს მეოთხედი? რუსეთში



ასეაო და საქართველოშიც ასე უნდა იყოსო. მოსხელეებისთვის
მეოთხედის გადასახადი იყო მთავარი მიზეზი იმისი, რომ რამ-
დენისამე წლის წინად გლეხები უკიდურესად გაბრაზდნენ
მემამულეებზე და ბევრი მათგანი ბარბაროსულად დასაჯეს.
მთავრობას რომ ქართველი გლეხები გაენთავისუფლებინა
მეოთხედისაგან იმავე დროსა, როცა მან რუსი გლეხები მესა-
კუთრებად გახდა ნადელებისა, ბარბაროსობას აღილი აღარ
ექნებოდა ჩვენებურ წოდებათა შორის.

ჩვენდა სანუგეშოდ, ახლა მთავრობას გადაწყვეტილი აქვს
ქართველს გლეხებს სესხად მისცეს საჭირო ფული ნადელების
შესასყიდად, ღალისაგან სრულიად იხსნას, მესაკუთრეებად
გარდააქციოს და მემამულეებთან მათს დამოკიდებულებას ბო-
ლო მოუღოს. ეს სანატრელი რეფორმა, როგორც სჩანს, მოხ-
დება ერთის წლის განმავლობაში და მაშინ ჩვენი ქვეყანაც
კოტა მოსვენებას იგემებს.

ამ ობეგრელის ცხრამეტს რიცხვში მთელი რუსეთი
იდლესასწაულებს ორმოც და ათის წლის იუბილეის გლეხების
განთავისუფლებისასა. ქართველობაც, რასაკვირველია, ჯერო-
ვანს მონაწილეობას მიიღებს ამ დღესასწაულში. მაგრამ ჩვენ
ამითი არ უნდა დავჯერდეთ. სამის წლის შემდეგ, 1914 წელს,
ნოემბრის თვეში, როდესაც შესრულდება ორმოც და ათი
წელიწადი ქართველის გლეხების განთავისუფლების შემდეგ,
ჩვენმა ქვეყანამ საკუთარი საიუბილეო დღესასწაული უნდა
გადაიხადოს, მით უმეტეს, რომ მაშინ სრულიად მოსპობილი
იქნება ბატონ-ყმობის ნაშთები ჩვენში.

იაკობ გოგებაშვილი.



ორი დრო.

(ბატონ-უშთბის გადაფარდნიდან 50

ჭლის შესრულების გამო)

I



არი ჰქრის, ქარი ზუზუნებს,
აწყდება არე-მარესა;
მსუსხავი, ყინვით უდროოდ
აზრობს ბალს ტკბილ-მფუნვარესა.
ცა დათალხულა ღრუბლებით:
არ სჩანს სხივი მზე—მოვარისა,
არც ზეიაღობა მაღალ მთის,
ცრემლებად ჩამომდნარისა.

სოფელში ჩაგრულ-გვემულნი
გარემოუცავს კაეშანს;
ამაო არის ღალადი,—
თანამგრძნობელი არსით სჩანს.

გშობელი თავის პირმშოსა
დასცერის გამწარებული
და, ძლის-პირულის სანაცვლოდ,
დაჰკვნესის აჩქარებული.

მოსთქვამს: ვაჲ, შვილო ბედ შაო,
ვით გითხრა ნანი-ნანაო,
როდესაც მდუღარებამა
ღაწვები ჩამომბანაო.



ვითარ მოგვიყლა სიყმილი,
მიგიკრა გულ-მკერდზედაო, —
უკანასკნელი რძის წვეთი
გამიშრა ძეძუზედაო.

ରୋବାକ ନେତ୍ରିଳିଙ୍କ ଲୁହାରିଟ ପାଇଁ
ଦୀର୍ଘବିରାମ ମିଶିବାକୁ ଦେଖିବାରେ,
କିମ୍ବା କିମ୍ବା ମାରୁଦ୍ଧିଲି ପାଇଁ
ମିଳିବା, ମିଳିବା, ମିଳିବା।

ამგვარსა ბედში მყოფელმა
ვით გვითხრა, შვილო, ნანაო,
ჩვენს მტერსაც ნუ შეპჩვედრია
ვაება ამისთანაო.

ამას ამბობდა შუობელი,
ასე მოსთქვამდა, სტიროლა,
სისხლის ნარევი ურემლები
ლაწვებზე ჩამოსდიოდა,

გრიგოლიც გულ-ქვად პირ-ქუში
საზარლად მიმოჰკიოდა.

II

დრო შეიცვალა... წყვდიადი
რიერაჟი დილამ დასერა,
სუსნით დამზრალი მთა-ბარი
გააძრწყინ — ააელოერა.

შმაგის გრიგოლის ღრიალი
შესცვალა სიოს ქროლამა,
თოვლ-ყინულისა ზაფთობა
ჩანჩქერ-ნაკადის სრბოლამა.

ვარდ ყვავილებმა მდელოზე
მოიკერძოს ნაზაღა
და გაეფინენ ფირუზ ცას
კვარცხლბეჭად, ფინაზაზადა.

წყვდიაღში შთანთქმულს სოფელსაც
 გაუღვიძნია შეებითა,
 გულისთქმას აკრიმანჭულებს
 უსაზღვრო აღტაცებითა.

ისმის ხმა მარად მჯვნესარის:
 ძლივსა გვხვდა გაზაფხულიო,
 მთლიად შეგვეცვალა გლეხ-კაცებს
 დღეიდან ბედი კრულიო.

გავნთავისუფლდით... აღარ გვყავს
 ბატონი მკაცრ-თავ-ხედიო,
 აღარასოდეს აგვეწვის
 მის მათრახისგან ქედიო.

ჩვენ შრომის ნაყოფს ჩვენსავე
 ბეღელში შევინახავთო,
 ახალ ცხოვრებას დავიწყებთ,
 ახალ გზას გავიკაფავთო.

აღტაცებულსა მშობელსაც
 გულში ჩაუკრავს შობილი,
 ზედ დასციმციმებს, ვით დილა
 წრფელი, ღიმილით მკობილი.

სალტუნის ხმებით მოუთხრობს:
 გამხარებელო გულისო,
 გარდიფურჩქნ-გარდაიშალე,
 ვით ვარდი გაზაფხულისო.

ბოლო მოეღო, სილალევ,
 ჩვენ დუხშირ ბედის წერასო,
 აწ ველარ გაგვინიავებს
 დუშმანი სახლის კერასო.

ამგვარ სიტყვებით მშობელი
 ეგებებოდა პატარას,

ଗାହାଶଲ୍ଲେଖ କୁର୍ରାଦ ଉଦ୍ଦଵନ୍ତିଲା
ମାସ ରୀଯରାୟ-ଫିଲିସ କାମାରାସ.

ୟବେଳା ଶ୍ରୀଦେବିଲା, ଯବେଲା
ଦଲ୍ଲେଖ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣାରାଦା ମନୋନ୍ଦିନୀ,
ମନ୍ଦିରିଲା ମତିଲ୍ଲୁଙ୍କ ମନ୍ଦିରିଲା
ମନ୍ଦିରିଲା ମନ୍ଦିରିଲା ମନ୍ଦିରିଲା.

ରେ. ତୁରନ୍ତଲେଖନାରାମ.





ატმოსფერის სიმძიმე.*)

(შოთ ბერისა)



ტმოსფერა. მე ასე დაწვრილებით იმიტომ ვლაპარაკობდი თევზის შესახებ, რომ ჩვენც იმავე მდგომარეობაში ვართ როგორშიაც თევზი. თევზი დაცურავს ზღვაში, ჩვენც ზღვაში ვიმყოფებით. ჩვენსა და თევზის მდგომარეობაში მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ თევზს ახვევია წყალი, ჩვენ კი ჰაერი, ანუ ატმოსფერა. თევზს ყოველ მხრივ აწვება წყლის ლონიერი ძალა, ჩვენ კი—ჰაერისა. თქვენ არც კი გრძნობთ ამ საშინელ სიმძიმეს და თავისუფლად მოძრაობთ, მაშინ როდესაც თქვენს სხეულს აწვება ჰაერი ექვსასის ფუთის სიმძიმისა. დიდის ადამიანის სხეული უფრო მეტს სიმძიმეს ატარებს, რაღანაც მისი სხეული თქვენს სხეულზე უფრო დიდია. აი სულ უბრალო ცდა, რომლიდანაც დაინახავთ, რა ძალით გვაწვება ჰაერი: ავიღოთ განიერ ყელიანი ბოთლი და მაგრად მოხარშული, გაფცევნილი კვერცხი. ბოთლში ჩავაგდებ ცეცხლმოკიდებულ ქალალდს და იმ დროს როდესაც ქალალდი ჩაიწვის, ბოთლის ყელს უცობ კვერცხს. უცქირეთ, პატარა ხნის უკან კვერცხი ცოტ-ცოტათი ძირს იწევს, მოიცადეთ ცოტა, შეხედეთ, კვერცხი უცბად ჩახტა ბოთლში და ამასთან ისეთი ხმა მოიღო, თითქოს საღმე ახლო თოფი გავარდაო. რამ ჩაგ-

*) იხ. ნაკადული



უ ს რ ე ც ლ ე ბ ი

შ ი ს ტ ა ლ ე ბ ი

დო ბოთლში კვერცხი? ჰაერმა, რომელიც აწვება ჭიათულს, მისმა სიმძიმის ძალამ. მაინც რით აიხსნება ეს მოვლენა? თქვენ ეხლა იმდენად შეისწავლეთ ფიზიკა, რომ აღვილად გაიგებთ ჩემს ახსნას: ანთებულმა ქალალდმა ბოთლში მდგარი ჰაერი გაათბო. სითბოსაგან ჰაერი ძალზედ გაგანიერდა, ისე რომ ველარ დაეტია ბოთლში და შეიძლება ნახევარზე მეტი ამოვიდა ბოთლიდგან. აი ამ დროს ბოთლს დაუცე კვერცხი. როგორც კი ბოთლში მდგარი ჰაერი გაცივდა, დაძირა იმ ადგილის ნახევარი, რომელიც ეჭირა წინად გამთბარს ჰაერს. ამიტომაც გაცივებულმა ჰაერმა ვერ გამოიჩინა საკმაო ძალა, გარე ჰაერის ძალის წინააღმდეგ. ამ ძალამ ჩააგდო კვერცხი ბოთლში. როგორც ჰელდავთ, ეს ძალა კარგა ღონიერი ყოფილა.

რამდენად დიდია ჰაერის დაწოლება. ეხლა შეუდგეთ მეორე ცდას. აი შუშის ლულა, არშინზე ცოტა გძელი. ლულის ერთი ბოლო მაგრა დაცობილია პრობკით და დაბეჭდილია ლაქით. ლულაში ჩავასხამ წყალს, ლია ბოლოს თითს დაუცობ და გადმობრუნებულს ჩავდებ წყლიან ჭიქაში, მერე თითს ვიღებ, უცქირეთ, ლულიდგან წყალი არ გამოდის. რა იქნერს წყალსა? ჰაერის ძალა. ჰაერი აწვება წყლის ზედა პირს ჭიქაში; წყლის ზედაპირი, ამ ჰაერის დაწოლის ძალას აძლევს ლულაში მყოფ წყალს ლია თავიდგან და ამ რიგად ძირიდგან აწვება; ამიტომ ლულიდგან წყალი აღარ გამოდის. ზევითა ბოლოს რომ მოვაცალოთ პრობკა, ლულიდგან მაშინვე წყალი დენას იწყობს, რადგან ზემოდგან დააწვება ჰაერი მთელის თავის სიმძიმით. ჩვენი ლულა, ერთის არშინის ბაღლად, სამი, ოთხი საუენიც რომ იყოს, მაინც ეს ცდა იმითი არ დაირღვევა. მაგრამ თუ რომ ლულა უფრო გრძელი იქნება, ხუთ საუენიანი, წყალი ძირს დაიწევს და დადგება 4 საუ., 2 არშ. და სამი ვერშოკის სიმაღლეზე, თითქმის $14\frac{1}{4}$ არშინის სიმაღლეზე, წყლის ზედაპირიდგან რომ ვიანგარიშოთ. ეს

ამტკიცებს, რომ ჰაერი იმავე ძალით აწვება, როგორც წყლისული
სვეტი— $14\frac{1}{4}$ არშინის სიმაღლით. ანუ, როგორც ფიზიკაში
ამბობენ, ატმოსფერის დაწოლების ძალა უდრის ძალას, რომ-
ლითაც აწვება $14\frac{1}{4}$ არშინიანი წყლის სვეტი. ჩვენ ახლა არა
გვაქვს ისეთი გრძელი ლულა, როგორიც საჭიროა, მაგრამ
უეგვიძლიან გავზომოთ ატმოსფერის ძალა სხვა საშუალე-
ბით.

ბარომეტრი. წყლის ბადლად ავიღოთ ვერცხლის წყალი. როგორც იცით, ვერცხლის წყალი 13 და ნახევარჯერ სქელია წყალზედ. მაშსადამე ადვილი მოსააზრებელია, რომ ვერცხლის წყლის ერთ არშინიანი სვეტი, იმდენს აიწონს, რამდენსაც აიწონს წყლის სვეტი, 13 და ნახევარ არშინიანი სიმაღლით. ახლა თუ რომ გვინდა მივიღოთ სიმძიმე, რომელიც უნდა უდრიდეს 14 და მეოთხედ არშინიან წყლის სვეტს, უნდა ავიღოთ ვერცხლის წყლის სვეტი, 17 ვერშოკიანი სიმძლლით, ე. ი. ერთი არშინი და ერთ ვერშოკიანი. სწორედ ეხლა ხელთა გვაქვს ასეთი სიგრძის ლულა. გავიმეოროთ წინანდელი ცდა. ვიღებ ისევ იმ ლულის, რომელიც წინაად ვიხმარეთ, მხოლოდ პრობკის ნაცვლად, ახლა ამ ლულის ბოლოს ცეცხლზე გავაძნობ, რადგანაც გამდნარი შუშა უფრო მაგრა და მჟიდროდ ეკაწიწება ერთმანეთს. ისე რომ ჰაერი ვეღარსაიდგან ვეღარ გავა. ლულაში ჩაგასხამ ვერცხლის წყალს. გადმოვაბრუნებ და ღია თავით ჩაუშვებ ვერცხლის წყლიანსავე ჭიქაში. მაშინვე ვერცხლის წყლის სვეტი ძირს დაეშვება და დადგება ერთს უკვე განსაზღვრულ სიმძლლეზე. თუ რომ გავზომავთ ამ სიმძლლეს არშინით, ჭიქაში მდგომ ზედაპირიდგან, იმ ადგილამდე სადაც სვეტი დადგა ლულაში, ვნახავთ რომ ეს სიმძლლე უდრის სწორეთ ერთ არშინს და ერთ ვერშოკს, აი ესრეთი ლულა, რომლის ერთი ბოლო შეკაწიწებულია და მეორე ბოლოთი ჩაშვებულია ვერცხლის წყლიან ჭიქაში, არის ბარომეტრი, ანუ გამზომი



ჰაერის სიმძიმის დაწოლებისა. (ბარომეტრი ორ ბერძნულად: საზომის ცვისაგან შესდგება: ბაროს—სიმძიმე, მეტრონ—საზომი).

მთაზედ ჰაერის სიმძიმის დაწოლება ნაკლებია. თუ ბარომეტრს ვერს ნახევრიან მთაზედ ავიტანთ, ვერცხლის წყლის სვეტი კოტათი ძირს დაიწევს, და 17 ვერშოკის ბაღლად, დადგება 14 ვერშოკზედ. მთა რომ ოთხი და ნახევარი ვერსი იყვნეს სიმაღლით, ვერცხლის წყალი ისე დაიწევდა, რომ 9 ვერშოკზედ დადგებოდა. 15 აპრილს, 1875 წელს, ორი მეტნიერი, სიველი და კროჩე-სპინელი, ჰაერის ბურთით ავიდნენ 8 და ნახევარ ვერსის სიმაღლეზე, მაგრამ იქ დაიღუპნენ, რადგანაც ჰაერი არ ეყოთ. ამ სიმაღლეზე, ვერცხლის წყლის სვეტი დაეშვა 6 ვერშოკამდის. ჰაეროვანი ზღვა, ატმოსფერა, ახვევია მთელ დედამიწას. ჩვენ ამ ღრმა ზღვის ფსკერზედ ვიმყოფებით, ასე რომ მთელი ამოდენა ჰაერი აწვება ჩვენ სხეულს. მაგრამ რამდენიც მაღლა ავდივართ, იმდენად მეტად უახლოვდებით ჰაეროვან ზღვის ზედაპირს, იმდენად ნაკლები ჰაერი იქნება ჩვენ ზევით და მაშასადამე იმდენად ნაკლებ სიმძიმეს ვიგრძნობთ. სიმაღლეზე, ჰაერის სიმძიმის დაწოლა სუსტია, და რაც უფრო მაღლა ავალთ, იმდენად ეს ძალა სუსტდება. ადვილი გასაგებია ახლა, თუ რად დაიწია ბარომეტრში ვერცხლის წყალმა. მაშ ახლა ვიცით, რომ ბარომეტრში, ვერცხლის წყლის სიმაღლე, ყველა ადგილას ერთნაირი არ არის: მაღლობებზე ვერცხლის წყალი უფრო დაბლა სდგა, დაბლობზე— მაღლა. უმაღლეს წერტილს, ვერცხლის წყალი აღწევს მაშინ, როდესაც ბარომეტრი სდგას ზღვის ზედაპირის გასწროვ. შეიძლება, რომ ერთ და იმავე ადგილას ვერცხლის წყლის ბოძმა სხვა და სხვა სიმაღლე იქონიოს. ეს მოვლენა დამოკიდებულია მრავალ მიზეზებზედ, მაგ. ავდრის დროს ვერცხლის წყალი დაბლა ეშვება. ამიტომაც ბარომეტრი დარის მაჩვენებელიც არის.

ჰაერის ბურთები. თუ რომ ოქვენგანი ვინმე იყო ჭა-

ლაქში, უკველია ნახავდა სათამაშო ჰაერის ბურთებს. უკველია გუჩი დაქვთ და ჰყიდიან. ბურთი ძაფზედ არის დამაგრებული; თუ ეს ძაფი გაუსხლტა ხელიდგან, შენი მრერი, გველივით ასრიალდება ჰაერში და მაღლა, მაღლა წავა. ეს ბურთი სათამაშოა, მაგრამ ისეთ ბურთებსაც აკეთებენ, რომლებიც არამც თუ თითონ აღიან, ხალხით კალათიც ააქვთ. აბა, ამიხსენით, რა ძალით სწევს ბურთი ამოდენა სიმძიმეს? ხომ ვიცით, რომ ყველა საგანს აქვს სიმძიმე, რომელიც ძირსა სწევს. ჰაერის ბურთს კი თითქოს ეს კანონი არ ეხება, თითქოს არავითარი სიმძ-მე არა აქვსო. ვეცადოთ და გამოვარკვიოთ ეს უჭანასკნელი მოვლენა ცდით.

— ნიკო, აქ მოდი. აიღე პრობკა და წყალით სავსე კასრში ჩაგდე. ზედ ძირზედ დაიჭირე. ეხლა გაუშვი ხელი.

— რომ გაუშვა, ხომ მაღლა ამოხტება?

— ჰო, საქმეც მაგაშია! როგორა ფიქრობ, რა მიზეზით ამოცურდა პრობკა მაღლა?

— იმ მიზეზით, რომ პრობკა წყალზედ სუმბუქია.

— შენ გინდა სოქვა, რომ წყალი პრობკაზე სქელია, ე. ი. პრობკა უფრო ნაკლებ იწონავს, სანამ იმის ტოლა წყალი? როდესაც პრობკა გეჭირა კასრის ძირზედ, მან დაიჭირა იმ წერტილზე მდგარ წყალის ალაგი. გაგდებულმა წყალმა, კასრში მდგარი დანარჩენი წყალი მაღლა ასწია. მაგრამ, როგორც კი გაუშვი პრობკას ხელი, თავის ადგილიდგან გაგდებული წყალი ისევ ძველ. ბინას მოადგა და ახლა იმან დებული წყალი ისევ ძველ. ბინას მოადგა და ახლა იმან გააგდო პრობკა, რადგანაც მისმა სიმძიმემ გადააჭარბა პრობკის სიმძიმეს. გავიმეოროთ სწორეთ ისეთივე ცდა, ჰატარა ცვლილებით. პრობკას შეურკობ ლურსმანს და ისე ჩავაგდებ წყალში. პრობკა ამოტივტივდება და განა მარტო, ლურსმანიც თან მოაქვს. ახლა რომ ერთი ლურსმნის ბაღლაც პრობკას ორი, სამი ლურსმანი შეურკოთ, მაშინ კი აღარ ატივ-ტივდება. შეიძლება ძირზედაც დარჩეს. სწორედ ასეთსავე

მოვლენას ვხედავთ, როდესაც საქმე გვაქვს ჰაერის ბურთთან. ჰაერის ბურთი შესდგება უბრალო მრგვალ პარკისაგან; ამ პარკს ავსებენ გაზით, რომლის სისქე ჰაერის სისქეზე ნაკლებია, სანათი გაზით. ამ გაზებედ უფრო უკეთესი წყალმბადია. თუ სანათი გაზი და წყალმბადი ხელთ არა აქვთ, მაშინ პარკში უშვებენ გამთბარ ჰაერს. ჰაერის ბურთი აღის მაღლა იმავე მიზეზით, რომლითაც პრობკა ამოტივტივდება წყალში, და როგორც პრობკამ შესძლო ლურსმნის ამოტანა, ისევე ამ ბურთს შეუძლიან ჰაერში კალათის და ხალხის ატანაც.

ატმოსფერის სიმძიმის მოქმედება. ამ წამში გიჩვენებთ კიდევ რამდენსამე მაგალითს იმისას, თუ როგორ მოქმედებს ატმოსფერის სიმძიმის დაწოლება. წყალით სავსე ჯამში ვაგდებ ნაფორტს, ზედ ვდებ ცეცხლ მოკიდებულ ქალალდის ნაგლეჯს. ანთებულ ქალალდს ვაფარებ ჭიქას, ისე კი რომ ჭიქა ნაპირებით წყალში იდგეს. ჭიქაში მაშინვე ჩნდება ჰაერგვარი დიდრონი ბურთები, რომლებიც აქრობს ცეცხლს. უცეირეთ, წყალი ამოვიდა ზევით და თითქმის მთელი ჭიქა გაავსო.

— ანდრო, შეგიძლიან ამისნა, რისგან მოხდა ესა?

— შემიძლიან.

— აბა, აბა, ვნახოთ!

— ანთებულმა ქალალდმა ჭიქაში მდგარი ჰაერი გაათბო. ამის გამო ჰაერი გაგანიერდა, ჭიქაში ალაგი ალარ ეყო და იწყო გარედ გამოსვლა. შემდეგ კი, როცა ჰაერი გაცივდა, შეიკუჭა, ჭიქაში დარჩა ცარიელი ალაგი, რომელიც წყალშა მაშინვე დაიჭირა.

— კარგი, მაგრამ ახლა ეს მითხარი, რა ძალამ შეაგდო წყალი ჭიქაში?

— რამა და ჰაერის ძალამ, იმ ჰაერისამ, რომელიც იმყოფება ოთაში. ჰაერი აწვება ჯამში მდგარ წყალს და აგდებს იქ, სადაც უფრო ნაკლები ჰაერია, ანუ ჭიქაში.

— კეთილი; ეხლა კი ვხედავ რომ შენ კარგა გაგიგია. აბა, ყმაწვილებო, ყურადღება! ჭიქას თავით ჩავდებ ჯამ-

ში და, როდესაც გაიცება, ავწევ მაღლა. უცქირეთ, კიქის ნაპირები მთლად არ მოშორდა წყალს, მინამ წყალი არ გამოიქცა, თუმცა თავდაყირა კი მეტირა. რა ამბავია, ვინ ამიხსხის?

— რა დიდი ახსნა მაგას უნდა! ეგ ხომ უკვე გავიგეო, ბარომეტრის მოქმედებას რომ გვიხსნიდით.

— ყოჩალ; სწორედ რომ კარგი პასუხი იყო! აბა, კიდევ ერთი ცდა ამ კიქით. ჩავაგდოთ ცარიელ კიქაში ანთებული ქალალდი და მერე ნაპირებით მაგრა დავაჭიროთ ხელი. ცეცხლი ქრება, ხელის კანი კი, როგორც ხედავთ, ბალიშვილ ამოიბურცა და კიქა ისე მაგრა დაეკრა ხელს, რომ ძნელი ასაღებია. მაგრამ, აბა ხელის კანი ცოტა დავწიოთ ერთ ადგილას, ისე რომ კიქის ნაპირის და მის შუა პატარა ნახვრეტი გაკეთდეს. კიქა, როგორც კი შევიდა შიგ ჰაერი, თავისთავად მოშორდა ხელს. აქაც ისეთივე მოვლენა მოხდა, როგორც ვნახეთ, გახსოვთ მაშინ, ბოთლში რომ კვერცხი ჩავაგდეთ. კიქაში ჰაერი გათბა, ნაწილი გარედ გავიდა და, როდესაც დანარჩენი ჰაერი გაცივდა, კიქაში იღმოჩნდა მეტი ცარიელი ალაგი. ხელის კანზა რად შეიწია კიქაში? აქაც მოქმედებს ატმოსფერის ძალა. ჰაერი აწვება ჩვენის სხეულის კანს ყველა მხრიდგან, აწვება მთლად ჩვენს სხეულს და აგრედვე სისხლს, რომელიც სდგას სხეულში. კიქის ქვეშ კი, გარეშე ჰაერი ვეღარ მოქმედებს კანზე, სხევან კი, ჩვენის სხეულის ყოველ წერტილს, ატმოსფერია აწვება მთელი თავის სიმძიმით. ყოველ მხრიდგან შევიწროებული სისხლი გროვდება კიქის ქვეშ მყოფ პატარა თავისუფალ; ალაგს ამიტომაც ეს ალაგი ამობურცდა და გაწითლდა.

ლივერი. სირაჯი ხშირად ხმარობს ლულას, ბოჩკიდგან ღვინის ამოსაღებად. ამ ლულას ორივე ბოლო ღია აქვს, შუაში კი გაგანიერებულია, ამ ლულას ეძახიან ლივერს. ჩავდებ ლივერს წყალში. მაშინვე წყლით ივსება. ახლა ზემო თავს თით დაუცობ და ისე ამოვილებ წყლიდ-



გან: ოუმცა ქვემო ბოლო ლიაა, მაგრამ წყალი კი არ იქცევა, რადგანაც იქერს ძირიდგან მოწოლილ ჰაერის ძალა, სწორედ ისე, როგორც ჭიქიდგან და ბარომეტრიდგან ჰაერი არ უშვებდა წყალს. როგორც კი მოვაშორებ თითს, მაშინვე ქვემო ბოლოდგან წყალი იწყობს დენას. დაფუცობ თითს, წყალი აღარ გამოდის. ხომ ჰაერი თუ გვინდა რომ წყალი გამოვიდეს ლულიდგან, ზემო ბოლოდგან შიგ თავისუფლათ უნდა შედიოდეს გარედ მყოფი ჰაერი.

წყლის ასაწევი. ხშირად მინახავს თქვენს ხელში შხაპუნა, რომელსაც აკეთებთ გამოფულრულ ჩალისას. აი ისეთივეა შუშისა, ყურიანი. ისიც ისეა გაკეთებული, როგორც თქვენი შხაპუნა შიგ აღის და ჩადის ტარიანი პრობკა. ჩავწევ პრობკას ბოლომდის, ჩავდებ წყალში. მერე ნელ-ნელა ვწევ პრობკას ზემოდ. რას ამჩნევ, გიგო?

— წყალი ამოდის.

— რად ამოდის, არ იცი?

— ტარიანი პრობკა მჭიდროდ ეცემა ლულის ბოლოში. ლულაში ჩნდება ცალიერი ადგილი. ჰაერი აწვება ჯამში მყოფ წყალს და შეჰყავს ლულაში, ისე როგორც ბარომეტრში.

— კარგი, არ იცი საღამდის ავა წყალი?

— სულ თავამდის.

— ამის მაგივრად უფრო გძელი რომ მქონოდა?

— მაინც კიდევ თავამდის ავიდოდა წყალი, თუ 14 არ-შინზედ მეტი არ იქნებოდა. ჰაერის ძალას შეუძლიან ასწიოს წყალი მხოლოდ 14 არშინზე.

— ძალიან კარგი. იი ამაზეა დამყარებული ყველა წყლის ასაწევი მანქანა. წყლის ასაწევის გარდა, არის კიდევ ჰაერის ასაწევიც. ესეც ისევე ასწევს ჰაერს, როგორც წყლის ასაწევი—წყალს. ეხლა რომ ჰაერის ასაწევი გვქონდეს, ბევრს საყურადღებო ცდას გაჩვენებდით, მაგრამ ყველა ნაირი წყალის ასაწევი არსებით ჰაერის ასაწევია.

გამორჩება.

ძირს დაცემა. ყველა საგნები მაღლიდგან ძირს ეცემიან ერთგვარის სისწრაფით. ხოლო თუ დაცემის სისწრაფეში გან-
სხვავებას ვხედავთ, ეს განსხვავება უნდა მივაწეროთ ჰაერის მეტ-ნაკლებ წინააღმდეგობას. ყველა საგნები ეცემიან ძირს ერთს სწორე ხაზე, შვეულებრივ ხაზზე. ამ ხაზს ვპოულობთ შვეულის შემწეობით. შვეულებრივი ხაზი და გასწვრივი ზედა-
პირი შეადგენს სწორე კუთხეს.


სიმძიმე. ძალა, რომელიც საგანს ეწევა ძირს, არის ამ საგნის სიმძიმე. თუ სიმძიმის აწონა გვინდა, უნდა გვქონდეს უკვე აღნიშნულ სიმძიმის ასაწონი ქვები, და მათთან შედა-
რებით უნდა შევიტყოთ ჩვენის საგნის სიმძიმე. ამ სიმძიმეს უწოდებთ საგნის წონას. საგანს სწონდავენ სასწორით.

სისქე. ნივთიერების სისქეს ასე იტყობენ: იღებენ უკვე აღნიშნულ სიდიდის ნივთიერების წონას და ადარებენ სხვა რომელისამე ნივთიერების წონას: ეს ნივთიერება უნდა იმოდენავე სიდიდისა იყვეს, რამოდენაც პირველია. საზოგა-
დოდ, ყველა ნივთიერების წონას ადარებენ წყლის წონას: მაგ. ვერცხლის წყალი 13 და ნახევარჯელ სქელია წყალზედ. მაშინადამე, ვერცხლის წყალის სისქე უდრის 13 და ნახევარს. რომელისამე ნივთის ერთგზის სისქის გამოსაანგარიშებლად, უნდა ამ ნივთიერების წონა გავყოთ. წყლის წონაზე, რასაკვირველია წყალი ისეთის სიდიდისა უნდა იყვეს, რამოდენაც იქნება თვით ნივთიერება. ყველა საგნების სისქე, განსაკუთრებით სითხესი და გაზებისა, სიობოს მომატებასთან, მცირდება. ძალა, რომ-
ლითაც სითხე აწვება ჭურჭლის ძირს, დამოკიდებულია ამ სით-
ხის სისქეზედ. გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, თუ რა სიმაღ-
ლეზე სდგას სითხე ჭურჭელში. თვითონ ჭურჭლის ფორმას ამ ძალაზე გავლენა არა აქვს. სითხე ყოველ მხრივ აწვება-
შიგ ჩაშვებულ საგანს. მაგ. თევზეს.

შეერთებული ჭურჭლები. შეერთებულ ჭურჭლების მისადაც გვიპოვთ ერთ სიმაღლეზე სდგას.

ჰაერის სიმძიმის დაწოლება. ჰაერი აწვება გარემო საგნებს. ჰაერი გვაწვება ჩვენც ისე, როგორც წყალი აწვება თევზს. ჰაერი ანუ ატმოსფერა გვაწვება ისეთის ძალით, რა ძალითაც გვაწვება წყლის სვეტი 14 და მეოთხედი არშინის სიმაღლისა ანუ ვერცხლის სვეტი, 17 ვერშოკინის სიმაღლისა.

6. ლოშაური.



წ ვ ი მ ა.

ზოშიერი, კოქისპირული და წერ-
დიდობა.



მოგორც სწერენ, ერთი თვე უთოვ-
ლია თურმე იმერეთში და საექნე-
მტი თოვლი დაუდვია; ამის გამო
გხები შეკრულა, წისქვილები დამდგარა, სანოვაგე და შეშა
გაძირებულა და ხალხი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნი-
ლა. შესაძლოა უცებ დათბეს და ამოდენა თოვლი ერთბაშად
გადნეს, აადიდოს მდინარენი და ნაპირებიდან გადმოვარდნილ-
მა წყალმა და საზოგადოდ წყალ-დიდობამ არე-მარე წალეკოს.
ასეთი წყალ-დიდობა იყო ამ ცოტა ხნის წინად პარიუშიაც:
ამ გარემოებამ დააფიქრა პარიზის საზოგადოება და შეუდგნენ
რაიმე საშუალების გამოძებნას: შესდგა კომისია, გამოიანგარი-
შა ყველა საჭირო ხარჯი არხების გასაყვანად და აგრედვე,
რა თანხა დასჭირდებოდა ტყეების გასაშენებლად. როგორც
აღმოჩნდა, ხარჯი დიდი იქნება, მაგრამ საზოგადოება ამას
არ შეუშინდა. მართლა და რას იზამთ, თუ დიდი და ხან-
გრძლივი წვიმა მოვიდა? ამავე დროს საკითხავია, განა ადამიანი
ისეთი უძლურია, რომ ვერ შესძლოს ისეთის საშუალების გა-
მოძებნა, რომ წვიმის დენა შეასუსტოს? ეს საკითხი დიდ
მნიშვნელოვანია და უნდა გამოვარკყიოთ.

წვიმა ბევრნაირია ბუნებაში, მაგრამ შესაძლოა გავყოთ



ორ უმთავრეს ნაწილად. არის წვიმა ზომიერი, როგორც მოდის სწრაფ მიმავალ ღრუბლებიდან.

არის წვიმა კოკის პირული, შედეგი იმ ღრუბლებისა, რომელიც რგოლივით დასტრიალებს თავს იმ ადგილას, სადაც წვიმა უნდა მოვიდეს. ზომიერი წვიმა თუ მოდის თავის დროს წლის განმავლობაში მარგებელია და მდინარენიც არ გადმოდიან ნაპირებიდან.

კოკის პირული წვიმა ერთბაშად აავსებს ხოლმე წყლით მდინარეს, მერე მოედება მინდვრებს და საჭიროა შეასუსტონ როგორმე იმის გამანადგურებელი ძალა.

მოწესრიგება ზომიერ წვიმისა. სწავლული ბაბინე დიდ წყალ-დიდობის 1856 წ. შემდეგ, დაადგა იმ დასკვნას; რომ ჰაერის მდინარე მიდის განსაზღვრულ გზით და ხშირად შეჩერდება მიწის უსწორ-მასწორობით, ან ტყეების მიზეზით, რადგანაც ქვედა ნაწილი ჰაერისა უშლის თავისუფლად დენას, ამიტომ ჩერდება მდინარე ჰაერისა.

დამტკიცებულია აგრევე, რომ ტყეების შეოხებით ხშირად მოდის წვიმა, რადგანაც აჩერებს გაქანებულს წვიმის ღრუბლებს, რომელიც შესაძლოა, გასცილდეს იმ მიდამოს. ამითი შეუძლიან ხალხს იხელმძღვანელოს და მოაწესრიგოს წვიმებიც და აიცდინოს, როგორც გვალვა, ისე წყალ-დიდობაც.

შესუსტება კოკის პირულ წვიმისა. კოკის პირული წვიმა ძრიელ საშიშოა, ჩნდება მახლობელ ღრუბლებიდან, რომელიც რგოლივით ტრიალებენ ერთ ალაგას. ეს ტრიალი შედეგია ქარიშხალისა, ციკლონისა, სმერჩისა—საზოგადოდ ყოველნაირ ჰაერის მოძრაობისა. ეს მოძრაობა იჭერს დიდ ალაგს; ჰაერის ტრიალი ჰგავს წყლის ტრიალს მდინარეში, რომელსაც ადვილად შეამჩნევთ ხილის ბურჯებთან. ხშირად ასეთი ტრიალი ჩნდება ერთ და იმავე ალაგას.

სწავლულმა ლესპიომ 1883 წ. გამოარკვია, რა რიგად შეუძლიან ადამიანს მოაწესრიგოს ჰაერის მოძრაობა. მან დაამ-

ტკიცა, რომ ევროპის ჰაერის გამოცვლა, სადაც გახდის გვალვა, კოკის პირული წვიმები, ქარიშხალი, წყალ-დიდობა შედეგია ამერიკის ტყეების განადგურებისა. ქარიშხალს არა-ფერი არ აჩერებს ტრიალ მინდორზედ, რადგანაც არ არის ტყე, რომელსაც შეეძლო მისი შესუსტება, შეეძლო შორს არ გაეშვა.

ჰარიზის წყალ-დიდობის შემდეგ, შარშან ზამთარს გაიხსნა ლესპიოს დედა აზრი რამდენმამე სწავლულმა და, ბევრ შრომის შემდეგ, დაადასტურეს იმ გამოკვლევის სიმართლე.


ლესპიო და ახლანდელი სწავლულები გვიმტკიცებენ, რომ ტყე ასუსტებს ქარიშხალს და რამდენისამე ვერსის სიგანის ტყე სრულებით სამყოფია ქარიშხალის შესაჩერებლად. ჰაერის მდინარეებს უცებ გზას შეუცვლის და ამ ნაირად ადამიანს შეუძლიან შესასუსტოს ჰაერის მდინარეობის ძალა. თუ გავანახევრებთ ქარიშხალს ტრიალ მინდორზედ და შევასუსტებთ მის ძლიერებას, ამითი დიდი სარგებლობას მოუტანთ ქვეყანას. ეს ღონისძიება გავლენას იქონიებდა კოკის პირულ წვიმაზედ და აგრედავე მოეხმარებოდა მეზღვაურებს და ჰაერში მფრენავთ, რომლებსაც დიდი ზარალი მოსდით ქარისაგან. ქარების შესუსტება შეიძლება ტყის გაჩენით. ტყე მოაწესრიგებს წყალს და წვიმას, თან ასუსტებს კოკის პირულ წვიმას, აჩერებს ქარიშხალს. ამიტომ საჭიროა ტყის გამრავლება და გავრცელება. ჩრდილოეთ ამერიკის ტყეები შესასუსტებს მექსიკიდან მომავალს ქარიშხალს. ამერიკაში დაიწყო ტყეების გაშენება, ამისთვის საქმარისი იყო ერთი ენერგიული კაცი. ეს კაცი იყო 11 წელიწადი ტყეების ზედამხედველად ამერიკაში და ისეთი დიდი ტყე გააშენა, რომ სიდიდით მთელ საფრანგეთს აღემატება; თან გაამრავლა ტყის ზედამხედველები და 13-დან—2000 აიყვანა მათი რიცხვი; დააარსა კონკურსი საზოგადოების წასაჭერებლად და შეადგინა ახალი სააკციონერო საზოგადოება დიდის თანხით ქარიშხალის გასაჩერებელ ტყეების გასაშენებლად. ევროპამაც უნდა მიჰმადოს ამერიკას, რადგანაც ეს

საქმე დიდის მნიშვნელობის საქმეა და ტყეების გაჩენა-^{ქართული}
ლება სასარგებლოა არა ერთის ერისა და საზოგადოებისა-
თვის, არამედ მთელ ქვეყნის რობისათვის.

ჩვენთვისაც დიდად საჭიროა ტყის მოვლა და მოშენება,
იმ ტყისა, რომელსაც ფულის გულისათვის ამ ბოლოს დროს
ასე ბარბაროსულად ანადგურებენ.

ნინო გაჩნაძისა.





მონათ ნამეოდი ბრძენი.

(ეპიგრეფის სწავლა ახ. შოთარება)



ართალი ადამიანი მხიარულია და თავისუფალი.
ვინც გულიდან ამოიფხვრის ბოროტებას, მის-
თვის ყოველი დღე სიხარულისა და ნეტარები-
სა იქნება, რადგანაც მის გულში სიკეოებ
სიბოროტე დასთრგუნა. ხალხს უყვარს ის,
ვინც ყველას ერთნაირის სიყვარულითა და ყურადღებით
ეპყრობა.

ხალხი იმისკენ არის, ვინც თავის ქადაგებას საქმით ას-
რულებს. ფიცის ჩამორთმევა სრულიად მეტია: მატყუარა
ფიცის გატეხას არ მოერიდება; პატიოსანი და მართალი ყო-
ველ შემთხვევაში აღასრულებს დანაპირებს. ადამიანის უდი-
დესი ნაკლულევანება ამპარტავნობა და თავის ქებაა.

კეთილშობილი ადამიანი გულ-ახდით აღიარებს თავის
ნაკლულევანებას და სიამოვნებითაც მოისმენს თავის შეცოდე-
ბის მხილებას.


მოთმინება და თავის შეკავება უდიდესი ღირსებაა ადა-
მიანისა. გონივრული ცხოვრება ბედნიერებაა. ბედნიერია ის
ადამიანი, ვისაც მცირედით შეუძლიან დაიკმაყოფილოს თავი,
ვინც მარტო წყალის სმას მიეჩია, ვინც ძნელ საქმეს შეასრუ-
ლებს და ტრაბახს არ მოჰყვება. არ ეცადო, რომ ყველა შენ



გიყურებდეს და საკვირველ ადამიანად მიგიჩნიონ — ეს სულიერული ციცვალისა თავის დამამცირებელია. მდიდარია ის, ვისაც შეუძლიან თვითონვე მოუაროს თავის თავს. მფლანგავი სახლს საოცრად მოაწყობს, კეთილ-გონიერი-კი სცდილობს დაიმშვენოს თავი სიკეთისა და სიმართლის შეგნებით. მზე უთხოვნელად ათბობს და ანათებს დედამიწას და ამიტომ ყველანი სიხარულით ეგებებიან. თქვენც ნუ დაუწყებთ ლოდინს, აუა ხვეწნა დაგვიწყოს, ქება-დიდება გვითხრასო, თქვენ თავათ უშველეთ და ისინიც შეგიყვარებენ. მდიდარი ვერ შეიქნება მოწყალე და მოწყალე კიდევ — მდიდარი.

სიმღიდოს მოპოება შეუძლებელია პატიოსნებისა და გულწრფელობის დაუკარგველად. წმინდა, ფაქიზი სვინიდისი უმაღლესი სიმღიდეები ადამიანისათვის.


ოლ. ჭრელაშვილი.





მდინარე და ხილი.

(იგავი)



ხლად აშენებული ხილი მდინარეს
გამოელაპარაკა:

— კაი ხანია თვალს გადევ-
ნებ და დავრწმუნდი, რომ მე-
ტის-მეტი უსამართლო ხარ: ავი
და კარგი არ გაგაჩნია, ყველას
ერთნაირად აღრჩობ,

ვინც-კი ფეხით გასვლის გაპე-
დავს. იმას რა სჯობია — თუ მშვიდობიანი და კეთილი კაცია,
გზა მისცე და უვნებლად გადაარჩინო, თუ ავაზაკი და მავნე —
თვალი მოსთხარო, სარმა გამოსლო და ტალღებს გაატანო.

— კუუის კოლოფო! — წყენით მოუგო მდინარემ, — თუ
დღემდის მგზავრი იძულებული იყო ჩემის ზეირთებისთვის მიენ-
დო თავი, ახლა ხომ ყველანი შენს ანაბარას არიან: განა შენ-
ზედ ერთნაირად არ გადადის ქურდიცა და ბრძენიც? აი, თუ
ავს ადამიანს არ გადუშობ და დაბლა ჩამომიგდებ, მეც მსწრაფლ
მორევში ამოვაყოფინებ თავსა.

ალ. მირიანა შვილი.





ପ୍ରାଚୀକରଣତଳେବି

ანდაზები.

(ჩაწერილი ქრწოში დ. ნახუცრიშვილის მიერ)

რაც ტექ იყო, ის ნადირი გამოდიოდა.

კარგმა ყოფნამ (ცხოვრებამ) ორად კი არ მაქცია, მაგრამ ორს კი დამამჯობინაო.

ՀԵՂՄԱՆՆՈՒՐ ԱԹՈՎԱՆԱ.

ବ୍ୟାକମିଳିଦିଗ୍ରୀନିଙ୍ଗଠିତ ଓ ଲାକାମ୍ବୁଦ୍ଧିନିଲୀର ମଧ୍ୟ.

ჩვენ გვაქვს შემდეგი სიტყვები: ხალი, ათი, ბარი, შვილი. ამთარჩიეთ ამ სიტყვებიდან ასოები, ისე რომ გამოვიდეს ჩვენი ღილი პოეტის გვარი მეცხრამეტე საუკუნისა და რაც ასოები დარჩეს, იმისაგან შეადგინეთ რაც მდინარეზეა გადებული იმის სახელი.

፭፻፲፯


ଫୁଲମନ୍ଦିରଙ୍କୁ ପାଇଁ ହାତରେ ଦେଖିଲୁଛି ମହାରାଜା.

მიშო თავშია იცემდა,
მაკა კიდობანს ეცაო
ხილი ასობით მომტაცა,
თვალებით გამაბეცა.




ରେଗ୍ପୁଲ


(წარმოდგენილი ანდ. ბაქრაძის მიერ).




კეთილის
წინააღმდეგი.



”
3”



(ნაცველი სახელი)



୪୩



” 3 ” မဲ



” ୧ ”



ବ

ହେଠାରୁଙ୍ଗିଲି କିମ୍ବା
କିମ୍ବା ?

ବ



ବ,




୩



”

୨୦ ”



ବି
ବି



”

୩ “ ମ